გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 75
(11 429)

22 – 25 სექტემბერი, 2000 წ.    ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

Sydney 2000

# ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშები

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე სიდნეიდან გვატყობინებს:



# «ცხელი» დღე

21 სექტემბერი. ქართველ ოლიმპიელებს „ცხელი" დღე ჰქონდათ. მეორე ბრძოლა ჩაატარა მოკრივე თემურ ხურცილავამ (54 კგ). იგი რუსეთელ რაიმკულ მალახბეკოვს შეხვდა, ქულებით (7:13) დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა. პირველი ბრძოლა მოიგო ფოთელმა მოკრივე ვლადიმერ ჭანტურიამ (91 კგ.).

ძიუდოისტ ივერი ჯიქურაულის (100 კგ) პირველი მეტოქე ტაივანელი იენი იყო. ჩვენებურმა იგი იპონით დაამარცხა, მაგრამ შემდგომ ბრძოლაში ფარხმალი დაყარა. ამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა იაპონელმა კოსეი ინოუემ, ვერცხლის — კანადელმა ნიკოლა გილმა, ბრინჯაო რუსმა იური სტეპკინმა და ფრანგმა სტეფან ტრენომ.

ასპარეზობაში ჩაერთო მოცურავე ზურაბ ბერიძეც: წინასწარ ეტაპზე 50 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვისას მან მესამე შედეგი აჩვენა, მაგრამ ფინალში ვერ გავიდა.

წარუმატებლად იასპარეზეს გუ...ერ შეჯიბრებაში ჩვენმა მშვილდოსნ...ა ხათუნა ლორიგის (ქვრივიშვილი), ხათუნა ფუტკარაძის, ახმათ დიასამიძის შემადგენლობით. ისინი მერვედფინალშივე დამარცხდნენ გერმანიის გუნდთან და გათამაშებას გამოეთიშნენ. არადა, თურმე, ადრე, ქართველ ქალებს გერმანელებისთვის არაერთხელ მოუგიათ.

სამწუხაროდ, ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძემ მუესი დაიზიანა და, როგორც თავად მითხრა, მრავალჭიდში ბრძოლას ველარ გააგრძელებს. იგი მხოლოდ ერთ, ცალკეულ იარაღზე — ღერძზე იასპარეზებს.

„ლელოს" მკითხველებმა, ალბათ, იციან, რომ აქ შედგა ვიქტორ სანეევის დაჯილდოების ცერემონია. ლონისძიებაზე, რომელიც ჩვენი სპორტდეპარტამენტის თაოსნობით მოეწყო და ქართული დელეგაციის ყველა წევრმა მოიყარა თავი, მოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის სახელით მოასპარეზე ქართველებიც. ვიქტორ სანეევს ვაჟთა შორის საქართველოს საუკუნის საუკეთესო სპორტსმენის ჯილდო გადასცა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა ვიქტორს მიულოცა ეს გამარჯვება და სახელმწიფო ჯილდოებიც გადასცა — ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენი. აქვე გამოქვეყნდა კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის და სეოკ-ის პრეზიდენტის ჯანო ბაგრატიონის მისალმება. სანეევს სუვენირები უძღვნა თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ და მიანიშნა, რომ, თუ იგი მოისურვებს თბილისში დაბრუნებას, მას ყველანაირ პირობებს შეუქმნიან. აქვე კახი ასათიანმა მოუწოდა მწვრთნელებს და სპორტსმენებს მეტი ორგანიზებულობისათვის, ყველაფერი ილონონ სპორტის დარჩენილ ოლიმპიურ სახეობებში წარმატების მისაღწევად.



ჩინელი ლინ ტანგი. ძიუდო (75 კგ) – ოქრო



კოზეი ინოუ (იაპონია). ძიუდო (100 კგ) – ოქრო

## გუშინ, ოლიმპიადაზე

● *დამთავრდა ვაჟთა მორიგი შეკრება ველოტრეკზე. კეირინში პირველობა მოიპოვა ფრანგმა ფლორიან რუსომ. ვერცხლის მედალი – ავსტრალიელმა გარი ნეივანდმა, ბრინჯაო – გერმანელმა იენს ფიდლერმა.*

● *ვაჟ ბადმინტონისტთა შეჯიბრებაში, წყვილთა თანრიგში ოქროს მედალოსანი გახდნენ ინდონეზიელები ტონი გუნავანი და სანდრა ვიჯაია, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს ლი დონ სუ და იუ იონ-სუნი (კორეა) – 2:1 (15:10, 9:15, 15:7). ბრინჯაოს მედალოსანი გახდა სხვა კორეელი დუეტი – ხა ტაე კვონი-კიმ დონ მუნი.*

● *78 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა ჩინელმა ძიუდოისტმა ქალმა ტან ლინმა, ვერცხლი – ფრანგმა სელინ ლებრიუნმა, ბრინჯაო – რუმინელმა სიმონა რიხტერმა და იტალიელმა ემანუელა პერანტოციმ.*

● *მრავალჭიდში რუმინელმა ქალმა ტანმოვარჯიშეებმა დაიკავეს მთელი კვარცხლბეკი: I – ანდრეა რადუჩანუ (38.893 ქულა), III – სიმონა ამანარი (38.642), III – მარია ოლარუ (38.581).*

● *კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს ოლიმპიადის მასპინძლებმა. ველოტრეკზე, წყვილთა შეჯიბრებაში (მედისონი) ბრეტ ეიტკენმა და სკოტ მაკგორიმ გაუსწრეს ბელგიელებს ეტიენ დე ვილდეს და მეტიუ გილმორს. მესამე შედეგი აჩვენეს იტალიელებმა სილვიო მარტინელომ და მარკო ვილამ.*

● *დაამთავრეს ტურნირი ხმლით მოფარიკავე ვაჟებმაც. კვარცხლბეკი: 1 – მიხაი კლავდიუ კოვალიუ (რუმინეთი), II – მატიე გურდენი (საფრანგეთი), II – ვირადეკ კოტნა (გერმანია).*

● *ფარიკაობაში ქალთა შორის გაიმარჯვა იტალიელმა ვალენტინა ვეცალიმ, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლაში დიდი უპირატესობით (15:5) სძლია გერმანელ რიტა კენინგს. იტალიელებს ერგოთ ბრინჯაოს მედალიც: ჯოვანი ტრილინიმ მესამე ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხა რუმინელი ლორა კარლესკუ (15:9).*

● *ცურვაში, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა ჰოლანდიელმა ინგე დე ბრუინმა – 53.83, ვერცხლი გადაეცა შვედ ტერეზა ალსხამარს. ბრინჯაოს მედალი გადაეცა ერთდროულად ორ ამერიკელს – დარა ტორესს და ჯენი ტომპსონს, რომლებმაც აბსოლუტურად ერთნაირი დრო აჩვენეს. ვაჟებში, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ბადალი არ ჰყავდა იტალიელ მასიმილიანო როსოლინოს. მან ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა – 1.58,98. მეორე და მესამე შედეგი აჩვენეს ამერიკელებმა ტომ დოლანმა და ტომ უილკენსმა*

● *ოლიმპიადის წინა დღეს დოპინგის მიღებაში მხილებულ ბულგარელ ძალოსანს ივან ივანოვს (56 კგ) ვერცხლის მედალი ჩამოართვეს. ამავე მიზეზით დღეს დისკვალიფიკაციას „გაუფორმებენ" კიდევ ორ ბულგარელ ძალოსანს – ქალთა შორის 48 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ იზაბელა დრაგნევას და ვაჟებში (62 კგ) ბრინჯაოს პრიზიორ სევდალინ მინჩევ-ანგელოვს.*

## მედლები

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| აშშ | 11 | 10 | 10 |
| ავსტრალია | 8 | 8 | 7 |
| ჩინეთი | 7 | 4 | 7 |
| საფრანგეთი | 6 | 8 | 4 |
| იტალია | 7 | 2 | 8 |
| ნიდერლანდები | 6 | 2 | 2 |
| რუსეთი | 4 | 8 | 9 |
| გერმანია | 3 | 5 | 6 |
| იაპონია | 4 | 3 | 1 |
| კუბა | 3 | 1 | 2 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 |
| დიდი ბრიტანეთი | 2 | 5 | 3 |
| კორეა | 2 | 4 | 4 |
| უკრაინა | 2 | 4 | 3 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 3 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 1 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 |
| სლოვაკეთი | 1 | 3 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 3 | 1 |
| უნგრეთი | 1 | 1 | 1 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 3 |
| კანადა | 1 | 1 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 3 | 1 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 0 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 |
| მექსიკა | 1 | 0 | 0 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 2 | 1 |
| ბელორუსია | 0 | 1 | 3 |
| ინდონეზია | 0 | 1 | 2 |
| საბერძნეთი | 0 | 1 | 1 |
| ჩრდ. კორეა | 0 | 1 | 1 |
| ტაივანი | 0 | 1 | 1 |
| სამხ. აფრიკა | 0 | 1 | 1 |
| ნიგერია | 0 | 1 | 0 |
| ურუგვაი | 0 | 1 | 0 |
| იუგოსლავია | 0 | 1 | 0 |
| ბელგია | 0 | 1 | 2 |
| კოსტა-რიკა | 0 | 0 | 2 |
| საქართველო | 0 | 0 | 1 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 1 |
| ლატვია | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 1 |
| ტაილანდი | 0 | 0 | 1 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 1 |

იხ. მე-2 გვ.

## დაემშვიდობნენ...

სიდნეიში, სანამ ოლიმპიადაზე მძლეოსანთა ტურნირი დაიწყებოდა, ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც განიხილეს საერთაშორისო ანტისადოპინგო სააგენტოს მოხსენება. თურმე, ამ სააგენტოს მუშაკებს მძლეოსანთა შერჩევითი ტესტირება ჩაუტარებიათ და ორი სპორტსმენის ანალიზმა დადებითი რეაქცია აჩვენა. ესენი არიან ნიგერიელი ქალი დუპე ოსიმე და კენიელი ვაჟი სიმონ კიმბოი. ცხადია, ორივე დაუყოვნებლივ მოხსნეს შეჯიბრებიდან



სფფ-ს პრეს-ატაშე **მამუკა კვარაცხელია** კარგა ხანია დანიის საფეხბურთო (და არასაფეხბურთო) წრეებში შინაურ კაცად ითვლება. „დანა-კაპის" ტურნირზე მას საპატიო მისია – დროშების აღმართვა ევალება ხოლმე. ამ ზაფხულს დანიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ფრედერიკსჰავნის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით მამუკა კვარაცხელია ამ ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს და მერიის შენობის წინ მისი სახელობის მუხის ნერგიც დაარგვევინეს. ფოტოზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი: ქალაქის მერი ერიკ სორენსენი (მარცხნივ) ამ მოვლენასთან დაკავშირებით სიტყვით გამოდის ***(მ. კვარაცხელიას მასალა იხ. მე-4 გვ).***

## მილოცვა

მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის 58-ე საშუალო სკოლის კოლექტივი დაბადებიდან 70 და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს ულოცავს ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს კალათბურთში ***რომა ჩალაბოვს.***

## ექლვნება თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის 75 წლისთავს

1925 75 2000

## ასე უჭევდა სლავა მეტრეველი



ეს ორი ფეხბურთელი ერთ დროს ერთ გუნდში თამაშობდა – მოსკოვის „ტორპედოში". მერე გაიყო მათი გზები: ავტოქარხნელთა ცენტრალური მცველი ვიქტორ შუსტიკოვი მოსკოვში დარჩა, ხოლო მარჯვენა გარემარბი სლავა მეტრეველი თავის ჭეშმარიტ სამშობლოში – საქართველოში ჩამოვიდა. იგი თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდა.

დინამოელთა მწვრთნელებმა გუნდის ინტერესებისათვის ფეხმარდი, ტექნიკური, აზრიანი ფორვარდი სლავა მეტრეველი ერთ პერიოდში ცენტრალურ თავდამსხმელად ათამაშეს. იგი ამ ამპლუაში ისევე წარმატებით გამოდიოდა, როგორც ადრე ფლანგზე.

ფასდაუდებელი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატის სლავა მეტრეველის წვლილი თბილისის „დინამოს" გამარჯვებაში 1964 წლის სეზონში, კერძოდ, 18 ნოემბრის იმ დაუვიწყარ „ოქროს" მატჩში ტაშკენტის „ფახთაქორის" სტადიონზე.

ამ ფოტოსურათზე გამოსახულია ძველი მეტოქეების – თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" ერთ-ერთი შეხვედრის მონაწილენი: ყოფილი თანაგუნდელები, ახლა კი „დაუძინებელი" მეტოქეები სლავა მეტრეველი და ვიქტორ შუსტიკოვი. ისინი უკომპრომისოდ იბრძვიან მოსკოველთა საჯარიმოში – დასძლევს თუ არა ჩვენი ფეხბურთელი უკანასკნელ „წინაღობასაც" ტორპედოელთა კარში ბურთის დასარტყმელად?!

თბილისის „დინამოს" გუნდის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალა იხილეთ მე-5 გვერდზე.

Sydney 2000

# ოლიმპიური დღიური

**19 სექტემბერი**

**ცხენოსნობა**

სამჭიდი. გუნდური

I ადგილი — ავსტრალია (ფილიპ დატონი, ენდრიუ ჰოი, სტიუარტ ტინი, მეტ რაიანი).

**მშვილდოსნობა**

ქალები. I — იუნ მი ჯინი (კორეა).

**ტყვიის სროლა**

ვაჟები. პისტოლეტი. I — ტანიუ კირიაკოვი (ბულგარეთი).

ქალები. დაბლ ტრეპი. I — პია ჰარსენი (შვედეთი)

**ძიუდო**

ვაჟები (81 კგ). I — მაკოტო ტაკიმოტო (იაპონია).

ქალები (63 კგ). I — სევრინ ვანდენენდი (საფრანგეთი).

**ტანვარჯიში**

ქალები. გუნდური. I — რუმინეთი (მარია ოლარუ, სიმონა ამანაირი, კლაუდია პრესაკანი, ადრეია ისარესკუ, ანდრეია რადუჩანუ, ლორედანა ბობიჩი).

**ძალოსნობა**

ქალები (63 კგ). I — ჩენ სიაომინი (ჩინეთი).

ქალები (69 კგ). I — ლინ ვეინინგი (ჩინეთი).

**ველოტრეკი**

ვაჟები. გუნდური რბოლა გამოდევნებით. I — გერმანია (გვიდო ფულსტი, რობერტ ბარკეტო, დანიელ ბეკე, იენს ლემანი).

**ფარიკაობა**

ქალები. დაშნა. გუნდური. I — რუსეთი (ტატიანა ლოგუნოვა, ოქსანა ერმაკოვა, მარია მაზინა, კარინა აზნავურიანი).

**ცურვა**

ვაჟები. 200 მეტრი ბატერფლაი. I — ტომ მალჩოუ (აშშ).

ვაჟები 4X200 მ. ესტაფეტა, თავისუფალი სტილი. I — ავსტრალია (იან ტორპი, მაიკლ კლიმი, ტოდ პირსონი, უილიამ კირბი). ქალები. 200 მ. თავისუფალი სტილი I — სუზან ო,ნილი (ავსტრალია). ქალები. 200 მ. კომპლექსური. I — იანა კლოჩკოვა (უკრაინა).

**კრივი**

პირველი წრე

***51 კგ.*** ვ. სიდორენკო (უკრაინა) — დ. მენდესი (მექსიკა) 16:8, ო. ნარვაესი (არგენტინა) — კ. ვალკარსელი (პუერტო-რიკო) 12:6, ვ. პონლიდი (ტაილანდი) — ვ. ზაქარიანი (გერმანია) ნოკაუტი, ა. ლესიო (ფილიპინები) — ჯ. ასიკუ (უგანდა) ნოკაუტი, ა. რეანი (პოლონეთი) — ს. აუგუსტინი (მადაგასკარი) 15:13, ე. კუნერი (კანადა) — ნ. კედამი (ალჟირი) 18:11, მ. როდრიგესი (კუბა) — კ. ტაიკიუ (კორეა) 20:8, ბ. დობრესკუ (რუმინეთი) — ი. ქსიანჟონგი (ჩინეთი) 12:3, ჰ. მესბახი (მაროკო) — ჰ. იბრაჰიმ თურანი (თურქეთი) 17:11, ხ. ნავარო (აშშ) — ჰ. ბალო (ინდონეზია) 16:10, დ. ტოუ (ბურკინა ფასო) — რ. რაჰიმი (ირანი), რაჰიმი არ გამოცხადდა, ჟ. ტომასი (საფრანგეთი) — ე. უალტშირი (ავსტრალია) 13:1.

***71 კგ.*** ა. სიტიჩი (გერმანია) — დ. იარბეკოვი (უზბეკეთი) 10:6, რ. როულისი (ავსტრალია) — ხ. კაბსერა (დომინიკ. რ-კა) 16:7, ს. მაკინტოში (კანადა) — ს. ბიკა მბა (კამერუნი) 8:5, ჯ. ტეილორი (აშშ) — დ. უსაგინი (ბულგარეთი) ნოკაუტი, ე. იანსენი (ვენესუელა) — ნ. ყასენოვი (ყირგიზეთი) 20:12, ი. იბრაიმოვი (ყაზახეთი) — ი. მასასი (სირია) ნოკაუტი, ხ. სიერა (კუბა) — ს. მბა (გაბონი) ნოკაუტი, მ. სიმიონი (რუმინეთი) — ჩ. დი კორსია (იტალია) 19:8, ხ. ჩავესი (მექსიკა) — ს. სანდი (გვინეა) ნოკაუტი, ფ. კარადოღლუ (თურქეთი) — მ. როუჩი (ირლანდია) 17:4, ფ. ესთერი (საფრანგეთი) — ა. მიშინი (რუსეთი) 16:11.

**ბალახის ჰოკეი**

**ვაჟები**

**B ჯგუფი.** ავსტრალია — ინდოეთი 2:2, არგენტინა — კორეა 2:2, პოლონეთი — ესპანეთი 4:1.

**ქალები**

**A ჯგუფი.** ავსტრალია — ესპანეთი. 1:1. **B ჯგუფი.** ჰოლანდია — სამ. აფრიკა 2:2.

**კეტბურთი**

კუბა-კორეა 6:5, აშშ — ჰოლანდია 6:2, იტალია — სამხ. აფრიკა 13:0, იაპონია — ავსტრალია 7:3.

**სოფტბოლი**

ავსტრალია — კანადა 1:0, ჩინეთი — ახ. ზელანდია 10:0, იტალია — კუბა 1:0, იაპონია — აშშ 2:1.

**კალათბურთი**

**ვაჟები. II ტური A ჯგუფი.** აშშ-იტალია 93:61, ჩინეთი — ახ. ზელანდია 75:60, ლიტვა — საფრანგეთი 81:63

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| **აშშ** | 2 | 2 | 0 | 212:133 | 4 |
| **ლიტვა** | 2 | 1 | 1 | 129:113 | 3 |
| **საფრანგეთი** | 2 | 1 | 1 | 139:131 | 3 |
| **ჩინეთი** | 2 | 1 | 1 | 147:179 | 3 |
| **იტალია** | 2 | 1 | 1 | 111:141 | 3 |
| **ახ. ზელან.** | 2 | 0 | 2 | 110:151 | 2 |

**B ჯგუფი.** რუსეთი — ესპანეთი 71:63, კანადა-ანგოლა 99:54, იუგოსლავია — ავსტრალია 80:66.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **კანადა** | 2 | 2 | 0 | 200:144 | 4 |
| **იუგოსლავია** | 2 | 2 | 0 | 146:126 | 4 |
| **ესპანეთი** | 2 | 1 | 1 | 131:129 | 3 |
| **რუსეთი** | 2 | 1 | 1 | 127:116 | 3 |
| **ავსტრალია** | 2 | 0 | 2 | 156:181 | 2 |
| **ანგოლა** | 2 | 0 | 2 | 99:163 | 2 |

**წყალბურთი**

ქალები. რუსეთი — კანადა 7:7, ავსტრალია — ყაზახეთი 9:2, აშშ — ჰოლანდია 6:4, ავსტრალია — რუსეთი 6:3, კანადა — აშშ 8:8, ჰოლანდია — ყაზახეთი 8:6, ჰოლანდია — ავსტრალია 5:4, აშშ — რუსეთი 7:5, კანადა — ყაზახეთი 10:3, ჰოლანდია — კანადა 7:4, ავსტრალია — აშშ 7:6, რუსეთი — ყაზახეთი 15:6.

**20 სექტემბერი**

**ძიუდო**

ვაჟები (90 კგ) I — მარკ ჰუზინგა (ჰოლანდია)

ქალები (70 კგ) I — სიბელის ვერანესი (კუბა)

**ტყვიის სროლა**

ვაჟები. დაბლ ტრეპი. I — რიჩარდ ფოლდსი (დიდი ბრიტანეთი)

ქალები. შაშხანა, 3 მდგომარეობიდან. I — რენატა მაუერ-როზა-ნოვსკა (პოლონეთი).

**ტანვარჯიში**

ვაჟები. მრავალჭიდი. I — ალექსეი ნემოვი (რუსეთი),

**ძალოსნობა**

ვაჟები (69 კგ). I — გალაბინ ბოევსკი (ბულგარეთი)

ქალები (75 კგ). I — მარია იზაბელ ურუტია (კოლუმბია).

**სანიჩბოსნო სლალომი**

ვაჟები. ერთადგილიანი ბაიდარა. I — ტომას შმიდტი (გერმანია)

ვაჟები. ორადგილიანი კანოე. II — პეტერ შოხშორნერი (სლოვაკეთი).

**ფარიკაობა.**

ვაჟები. რაპირა. I — კიმ იუნგ ჰო (კორეა)

**ცურვა**

ვაჟები. 200 მ. ბრასი. I — დომენიკო ფიორავანტი (იტალია)

ვაჟები. 100 მ. თავისუფალი სტილი. I — პიტერ ვან ჰოგენბადი (ჰოლანდია)

ქალები. 200 მ. ბატერფლაი. I — მისტი ჰიმენი (აშშ)

ქალები. 4X200 მ. ესტაფეტა, თავისუფალი სტილი. I — აშშ (სამანტა არსენო, დიანა მუნზი, ლინდსი ბენკო, ჯენი ტომპსონი). ეს ტომპსონის მეშვიდე ოლიმპიური ოქროს მედალია!

**მშვილდოსნობა**

ვაჟები. I — საიმონ ფეიერვეზერი (ავსტრალია)

**ველოტრეკი**

ვაჟები. ქულებზე რბოლა. I ხუან ლანერასი (ესპანეთი)

ვაჟები. სპრინტი. I — მარტი ნოთსტეინი (აშშ)

ქალები. სპრინტი. I — ფელისია ბალანჟე (საფრანგეთი).

**ხელბურთი**

ვაჟთა ჯგუფური ტურნირის მდგომარეობა სამი ტურის შემდეგ:

**A ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი** | 3 | 3 | 0 | 0 | 79:71 | 6 |
| **გერმანია** | 3 | 2 | 1 | 0 | 82:68 | 5 |
| **იუგოსლავია** | 3 | 2 | 0 | 1 | 72:74 | 4 |
| **ეგვიპტე** | 3 | 1 | 0 | 2 | 72:73 | 2 |
| **კორეა** | 3 | 0 | 1 | 2 | 73:75 | 1 |
| **კუბა** | 3 | 0 | 0 | 3 | 74:90 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვედეთი** | 3 | 3 | 0 | 0 | 103:71 | 6 |
| **საფრანგეთი** | 3 | 2 | 1 | 0 | 69:64 | 5 |
| **ესპანეთი** | 3 | 2 | 0 | 1 | 86:70 | 4 |
| **სლოვენია** | 3 | 1 | 1 | 1 | 87:76 | 3 |
| **ტუნისი** | 3 | 0 | 0 | 3 | 57:71 | 0 |
| **ავსტრალია** | 3 | 0 | 0 | 3 | 66:116 | 0 |

**წყალბურთი**

ქალები. ჯგუფური ტურნირის შედეგი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ავსტრალია** | 5 | 4 | 0 | 1 | 35:20 | 8 |
| **აშშ** | 5 | 3 | 1 | 1 | 36:30 | 7 |
| **ჰოლანდია** | 5 | 3 | 0 | 2 | 27-26 | 6 |
| **რუსეთი** | 5 | 2 | 1 | 2 | 36:29 | 5 |
| **კანადა** | 5 | 1 | 2 | 2 | 33:34 | 4 |
| **ყაზახეთი** | 5 | 0 | 0 | 5 | 27:51 | 0 |

22 სექტემბერი, ნახევარფინალი: ავსტრალია — რუსეთი (7.00), აშშ — ჰოლანდია (13.15)

---

# ეს "უხეში" აზუბიკე ოლისე

## ფეხბურთელთა ტურნირი ეკვატორს უახლოვდება

### ვაჟები. III ტური

**A ჯგუფი.** იტალია — ნიგერია 1-1, ჰონდურასი — ავსტრალია 2-1

**B ჯგუფი.** კორეა — ჩილე 1-0, ესპანეთი — მაროკო 2-0

**C ჯგუფი.** აშშ — ქუვეითი 3-1, ჩეხეთი — კამერუნი...

**D ჯგუფი.** ბრაზილია — იაპონია 1-0, სლოვაკეთი — სამხ. აფრიკა 2-1

ამრიგად, ჯგუფური ტურნირი ასე დასრულდა:

**A ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| **ნიგერია** | 3 | 1 | 2 | 0 | 7-6 | 5 |
| ჰონდურასი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-7 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 0 | 3 | 3-6 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩილე** | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| **ესპანეთი** | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| კორეა | 3 | 2 | 0 | 1 | 2-3 | 6 |
| მაროკო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აშშ** | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| **კამერუნი** | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| ქუვეითი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-8 | 3 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 5-6 | 2 |

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბრაზილია** | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| **იაპონია** | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| სამხ. აფრიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-3 | 3 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |

ოლიმპიური ჩემპიონის — ნიგერიის ნაკრების ბედი ბეწვზე ეკიდა: იტალიასთან ორბურთიანი სხვაობით რომ წაეგო, მეოთხედფინალში ჰონდურასი გადიოდა. თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მატჩის მე-60 წუთზე მინდვრიდან გააძევეს აფრიკელთა წამყვანი მცველი აზუბიკე ოლისე (ავსტრალიაში მას უკვე ჰქონდა მიღებული ერთი გაფრთხილება), მაგრამ საბოლოოდ ჩემპიონისთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა, მით უმეტეს არც იტალიელებს გამოუდვიათ თავი — მათ ჯგუფში უკვე ჰქონდათ განაღდებული პირველი ადგილი. მეოთხედფინალში ნიგერიის ნაკრების დანაკარგი მარტო ოლისეთი არ შემოიფარგლა — დისკვალიფიკაციის გამო შაბათს ვერ ითამაშებს გუნდის კაპიტანი, ჩელსილი მცველი სელესტინ ბაბაიარო (იგი ავსტრალიელებთან შეხვედრაში გააძევეს). აღსანიშნავია, რომ მეოთხედფინალში დანაკარგით გააღწია იტალიამაც — აპენინელები ბარონიოს გარეშე ითამაშებენ (ნიგერიელებთან მატჩში მან მეორე გაფრთხილება მიიღო, რომელიც ავსტრალიაში მისთვის მეორეა).

***მეოთხედფინალში, 23 სექტემბერს, ერთმანეთს შეხვდებიან: აშშ — იაპონია 12.30 (აქ და შემდგომში დრო თბილისისაა), ბრაზილია — კამერუნი 13.00, იტალია — ესპანეთი 14.00, ჩილე — ნიგერია 14.00.***

### ქალები. III ტური

**E ჯგუფი.** გერმანია — შვედეთი 1-0, ბრაზილია — ავსტრალია 2-1

**F ჯგუფი.** ნიგერია — აშშ 1-3, ნორვეგია — ჩინეთი 2-1

**E ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| **ბრაზილია** | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| შვედეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | [illegible] |
| ავსტრალია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

**F ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აშშ** | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| **ნორვეგია** | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| ნიგერია | 3 | 0 | 0 | 3 | 3-9 | 0 |

24 სექტემბერს, (11.30 სთ.) ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან გერმანია — ნორვეგია და აშშ — ბრაზილია.

---

Sydney 2000

# ასპარეზობები და დღეები

## (ნომრიდან ნომრამდე)

**22 სექტემბერი, პარასკევი**
**(თამაშდება მედლების 18 კომპლექტი)**

**ბადმინტონი**
8.00-11.40 ვაჟები, ქალები

**კალათბურთი**
ჯგუფური ტურნირი
**ქალები**
**A ჯგუფი**
5.30 სლოვაკეთი-კანადა
8.30 საფრანგეთი-ბრაზილია
13.30 სენეგალი-ავსტრალია
**B ჯგუფი**
3.30 რუსეთი-კორეა
10.30 ახალი ზელანდია-აშშ
15.30 პოლონეთი-კუბა

**კეტბურთი**
5.30-13.30 წინასწარი ტურნირი

**ბიჩ-ვოლეი (პლაჟის ფრენბურთი)**
3.00-12.00 ვაჟები

**კრივი**
5.00-16.30 48, 60, 75 კგ წონითი კატეგორიები. მეორე წრე.

**წყალბურთი**
5.00-13.15. ნახევარფინალური სერია. ქალები

**ფრენბურთი**
4.00-8.30 ჯგუფური ტურნირი. ქალები.

**ხელბურთი**
3.30-15.30 ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.

**აკადემიური ნიჩბოსნობა**
2.30-6.10

**ძიუდო**
9.00-16.00 100 კგ ზევით (ვაჟები) და 78 კგ ზევით წონითი კატეგორიები

**ცხენოსნობა**
5.00-9.45

**მძლეოსნობა**
4.00-16.00

**აფროსნობა**
6.00-11.00

**ცურვა**
9.30-11.15

**წყალხტომი**
8.00-11.00 ვაჟები

**ბატუტი**
11.00-15.00 ქალები

**სოფტბოლი**
4.30-14.00 წინასწარი ტურნირი

**ტყვიის სროლა**
3.00-9.30 ვაჟები, ქალები

**მშვილდოსნობა**
3.00-11.00 ჯგუფური შეჯიბრება. ვაჟები.

**ჩოგბურთი**
5.00-11.00

**მაგიდის ჩოგბურთი**
4.00-17.00

**ძალოსნობა**
4.30-6.30 ვაჟები (77 კგ), ქალები (75 კგ ზევით).

**ფარიკაობა**
3.30-14.50

**ბალახის ჰოკეი**
9.30-12.30 ჯგუფური ტურნირი. ქალები.
9.30-12.30

**23 სექტემბერი, შაბათი**
**(თამაშდება მედლების 26 კომპლექტი)**

**ბადმინტონი**
8.00-11.00 ქალები, ვაჟები

**კალათბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ვაჟები
**A ჯგუფი**
3.30 ლიტვა-ჩინეთი
13.30 ახალი ზელანდია-აშშ
15.30 საფრანგეთი-იტალია
**B ჯგუფი**
5.30 ესპანეთი-იუგოსლავია
8.30 რუსეთი-კანადა
10.30 ანგოლა-ავსტრალია

**კეტბურთი**
5.30-11.30
წინასწარი ტურნირი

**ბიჩ-ვოლეი (პლაჟის ფრენბურთი)**
3.00-10.30 ქალები.

**კრივი**
57,71 კგ. წონითი კატეგორია, I წრე.
91 კგ ზევით წონითი კატეგორია, II წრე
7.00-15.30

**წყალბურთი**
ვაჟები. ჯგუფური ტურნირი
**A ჯგუფი**
4.45 სლოვაკეთი-იტალია
9.00 ყაზახეთი-ესპანეთი
11.30 ავსტრალია-რუსეთი
**B ჯგუფი**
3.30 საბერძნეთი-უნგრეთი
6.00 იუგოსლავია-ჰოლანდია

***იხ. მე-7 გვ.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

## ყველაფერს პროფესიული თვალით შევხედოთ

სამი დღის წინათ გამართულ სფფ-ს მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა იმ 23 ფეხბურთელის სია, რომელთაგან ეროვნული ნაკრების თავკაცები 18-ს შეარჩევენ და ლიტვასა და იტალიაში შესარჩევი მატჩების ჩასატარებლად წაიყვანენ:

**მეკარეები:** დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე;

**მცველები:** ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გელა შეყილაძე, ზურაბ მენთეშაშვილი;

**ნახევარმცველები:** გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, ვალტერ გუჩუა, გიორგი ქინქლაძე, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, კახა გოგიჩაიშვილი, თენგიზ სიჭინავა, თემურ ქეცბაია;

**თავდამსხმელები:** შოთა და არჩილ არველაძეები, ალექსანდრე იაშვილი, მიხეილ ყაველაშვილი, ზაზა ჯანაშია, გიორგი დემეტრაძე.

სხდომის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, მწვრთნელებს მსაჯებიც შეუერთდნენ და ქართული ფეხბურთის საჭირბოროტო პრობლემებზე დავა-კამათმა დიდი ვნებათა-ღელვა გამოიწვია. მწვრთნელებმა, მსაჯებმა და ჟურნალისტებმა დაუფარავად ილაპარაკეს დღეს არსებულ ვითარებაზე, თუმცა ბოლოს ყველა ერთ დასკვნამდე მივიდა — ნაკლოვანებები სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას. უპირველესად კი საჭიროა კლუბების ხელმძღვანელებმა, მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა, მსაჯებმა, გულშემატკივრებმა და მასმედიის წარმომადგენლებმა ურთიერთობებისას მეტი გულისხმიერება გამოვიჩინოთ ერთმანეთისადმი.

## სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით

სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიაზე გუშინწინ განხილულ მწვავე საკითხებს სანქციებიც შესაბამისად მკაცრი მოჰყვა. „ვიტ ჯორჯია“ – თბილისის „დინამოს“ მატჩისას და შეხვედრის შემდეგ მსაჯებისა და ინსპექტორის სიტყვიერი შეურაცხყოფა და არაეთიკური საქციელი საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტს გურამ რუხაძეს ძვირად დაუჯდა. – „სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და ჯარიმა 1000 ლარი, გაფრთხილება კლუბს და ჯარიმა 200 ლარი, რადგან კლუბის მესვეურებმა ვერ უზრუნველჰყვეს მატჩის რეგლამენტის წესების დაცვით ჩატარება“. სადიციპლინო კოლეგიამ, არც სფფ და არც საკუთარი თავი დაივიწყა. გადაწყვეტილების შემდეგი პუნქტები ასეთია – „სფფ-მ შეისწავლოს გურამ რუხაძის კოლეგიაზე გაკეთებულ განცხადებაში წამოჭრილი ფაქტები სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის მუშაობის შესახებ, ხოლო სადისციპლინო კოლეგიის წევრები ამიერიდან სისტემატურად დაესწრებიან ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს, რათა უშუალოდ თვითონ შეაფასონ სტადიონებზე მომხდარი ესა თუ ის დარღვევა“. დილა – გორდას მატჩის შემდეგ, შეხვედრის მთავარი არბიტრის მერაბ მალაღურაძის ავტომანქანის მაყურებლების მიერ დაზიანებას და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას „დილას“ სტადიონის წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია მოჰყვა, კლუბი 100 ლარ ჯარიმას გადაიხდის, ამასთან, მსაჯის ავტომანქანის შეკეთებაც კლუბს დაევალა.

ჩემპიონატის დაწყებამდე სამტრედიის „იბერიას“ სტადიონის პრობლემა ჰქონდა, სამწუხაროდ, იგი ხუთი ტურის მერეც ვერ გადაიჭრა, შედეგი კი სავალალოა. სამტრედიის სტადიონი „იბერია“ – „ვიტ ჯორჯიას“ მატჩს მოუმზადებელი შეხვდა. მინდორი გაუკრეჭავი და დაუხაზავი იყო, დირექციის უყურადღებობამ კი სტადიონიც და კლუბიც ერთად აზარალა. „იბერიას“, როგორც მასპინძელს 0-3 წაგება ჩაეთვალა, წლის ბოლომდე სტადიონზე აიკრძალა მატჩების ჩატარება, მას დაედო ჯარიმა 1000 ლარი. სადისციპლინო კოლეგიამ კი საშეჯიბრო კოლეგიას დაავალა შეისწავლოს შექმნილი სიტუაცია და განსაზღვროს თუ სად ჩაატარებს „იბერია“ პირველობის დარჩენილ შეხვედრებს, ასევე საშეჯიბრო კომიტეტმა უნდა განიხილოს სტადიონის დირექტორის გარნოვსკის საკითხიც.

კიდევ რამდენიმე დარღვევისათვის პიროვნული სასჯელები მიიღეს – ზესტაფონის მეტალურგის ფეხბურთელი ამაშუკელი 4 თამაშით იქნა დისკვალიფიცირებული და 200 ლარ ჯარიმას გადაიხდის, მისი თანაგუნდელები ლურსმანაშვილი და ნიქაბერიძე 2 თამაშით არიან დისკვალიფიცირებულნი და 100-100 ლარს გადაიხდიან.

ბოლნისის სიონის მწვრთნელი და კლუბი 100-100 ლარ ჯარიმას გადაიხდიან მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის.

წყალტუბოელი შოთა დარსაძე 4 თამაშითაა დისკვალიფიცირებული და 200 ლარს გადაიხდის.

საბა ლომინაძე

### საქართველოს თასი



**გუშინ** სფფ-ში ჩატარებულმა თასის მეთექვსმეტედფინალის კენჭისყრამ გუნდები ასე დააწყვილა:

**აღმოსავლეთის ზონა**

თორი (ბორჯომი) — ლოკომოტივი (თბ)
თბილისი2 — მერანი 91 (თბ)
დინამო (თბ) — მილანი (წ)
გორდა (რუსთავი) — ლოკომოტივი 3 (თბ)
ცხინვალი — თბილისი
სიონი (ბოლნისი) — ივერია (ხაშური)
დილა (გორი) — ჭაბუკიანი
ვიტ ჯორჯია (თბ) — ს. ა. იბერია (თბ)
დინამო 2 (თბ) — თსუ

**დასავლეთის ზონა**

ტორპედო (ქუთაისი) — ლაზიკა (ზუგდიდი)
კოლხეთი 1913 (ფოთი) — კოლხეთი 2 (ფოთი)
იბერია (სამტრედია) — სამგურალი (წყალტუბო)
დინამო (ბთ) — ოკეანე (სამტრედია)
გურია 2 (ლანჩხუთი) — მეტალურგი (ზესტაფონი)
შუქურა (ქობულეთი) — ლოკომ-გურია (ლანჩხუთი)
დინამო (ზუგდიდი) — კოლხეთი (ხობი)

პირველი მატჩები 27 სექტემბერს, ხოლო საპასუხო 17 ოქტომბერს გაიმართება.

პირველად დასახელებულები არიან მასპინძელი გუნდები.

### ბავშვთა ლიგა. II წრე, XII ტური



ირაო — განათლება 3-1
კახეთი — დინამო (ბთ) 5-0
გაზაფხული — ლაზიკა 2-0
სენაკი — გურია 2-4
იმერეთი — სიონი 1-0
დინამო (თბ) — თბილისი (გადაიდო)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 11 | 10 | 0 | 1 | 40-3 | 30 |
| ირაო | 12 | 9 | 1 | 1 | 26-6 | 28 |
| თბილისი | 11 | 7 | 1 | 3 | 16-7 | 22 |
| კახეთი | 12 | 5 | 2 | 5 | 23-22 | 17 |
| სენაკი | 12 | 5 | 2 | 5 | 10-20 | 17 |
| დინამო (ბთ) | 12 | 5 | 1 | 6 | 16-20 | 16 |
| გაზაფხული | 12 | 3 | 4 | 5 | 7-14 | 13 |
| იმერეთი | 12 | 3 | 4 | 5 | 10-17 | 13 |
| სიონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13-21 | 12 |
| განათლება | 12 | 3 | 3 | 6 | 6-10 | 12 |
| გურია | 12 | 3 | 2 | 7 | 16-36 | 11 |
| ლაზიკა | 12 | 2 | 3 | 7 | 15-22 | 9 |

## ინსპექტორები, მსაჯები...

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა VI ტური. 23 სექტემბერი

***ლოკომოტივი — დინამო (თბ)*** — მთავარი მსაჯი — მ. მალაღურაძე, ასისტენტები — სილაგავა, ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი — მეშკოვი, ინსპექტორი — ა. დურსუნიში.

***ვიტ ჯორჯია — დინამო (ბთ)*** — მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — გაბრიაძე, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — დოგრაშვილი, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

***კოლხეთი 1913 — სიონი*** — მთავარი მსაჯი — ზ. ანიაშვილი, ასისტენტები — ჯვარიძე, ელიკაშვილი, მეოთხე მსაჯი — რაზმაძე, ინსპექტორი — ა. მილჩენკო.

***დილა — ტორპედო*** — მთავარი მსაჯი — დ. სანაია, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — ა. შილაკაძე, ინსპექტორი — ბ. ქარქაშაძე.

***იბერია — გორდა*** — მთავარი მსაჯი — ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები — ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — კრიჭაშვილი, ინსპექტორი — ი. მჭედლიშვილი.

***მერანი — თსუ*** — მთავარი მსაჯი — ს. კვარაცხელია, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი ნ. კაკულია.

### პირველი ლიგა. VI ტური. 24 სექტემბერი

***თორი — ივერია*** — მთავარი მსაჯი — ა. შილაკაძე, ასისტენტები — აფციაური, თბილელი, მეოთხე მსაჯი — მალაღურაძე, ინსპექტორი — ნ. კაკულია.

***მეტალურგი — ცხინვალი*** — მთავარი მსაჯი ა. კრიჭაშვილი, ასისტენტები — ხუციშვილი, ნონიკაშვილი, მეოთხე მსაჯი — ფანიაშვილი, ინსპექტორი — ა. გრეკოვი.

***თბილისი — კოლხეთი (ხ)*** — მთავარი მსაჯი — მ. ელიკაშვილი, ასისტენტები — დოლიძე, ელისაბედაშვილი, მეოთხე მსაჯი — ა. შალამბერიძე, ინსპექტორი — ვ. ელოშვილი.

***სამგურალი — ოკეანე*** — მთავარი მსაჯი — ა. მეშკოვი, ასისტენტები — ბუიშვილი, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი — ბრეგვაძე, ინსპექტორი — ზ. პეტრიაშვილი.

***შუქურა — დინამო (ზ)*** — მთავარი მსაჯი — ა. ორდინიძე, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — დოგრაშვილი. ინსპექტორი — ჯ. თანანაშვილი.

### პირველი ლიგა • V ტური

შუქურა — თორი 1-0
დინამო (ზ) — სამგურალი 3-2
ოკეანე — თბილისი 3-1
კოლხეთი (ხ) — მეტალურგი 0-0
ცხინვალი — გურია 7-0
მილანი — ივერია (გადაიდო)



| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 5 | 4 | 1 | 0 | 15-4 | 13 |
| შუქურა | 5 | 3 | 1 | 1 | 6-1 | 10 |
| დინამო (ზ) | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| მეტალურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| ლოკ. გურია | 5 | 2 | 1 | 2 | 4-9 | 7 |
| თორი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-6 | 6 |
| ოკეანე | 5 | 1 | 3 | 1 | 4-3 | 6 |
| კოლხეთი (ხ) | 5 | 1 | 2 | 2 | 2-4 | 5 |
| სამგურალი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| მილანი (წ) | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| თბილისი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-10 | 3 |
| ივერია | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |

## ორი ამხანაგური

***საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებმა*** 18-20 სექტემბერს ორი ამხანაგური მატჩი გამართა აზერბაიჯანელ თანატოლებთან. ერთი სტუმრებმა, მეორე მასპინძლებმა მოიგეს და მართლაც ამხანაგურად დაშორდნენ ერთმანეთს.



**18. სექტემბერი. „შევარდენის“ სტადიონი**

**საქართველო — აზერბაიჯანი 0-1**

**საქართველო:** მამალაძე, გეგუჩაძე, მანჩხავა, ჩივაძე, სახურია, სტურუა (სოხაძე 46). ნორაკიძე, ზაქარეიშვილი, ქარდავა, ბერელიძე (ჩიხლაძე 46), ცქიფურიშვილი.

*გოლი:* 0-1 სადიგოვი (63)

*გაფრთხილება:* სადიგოვი, გუსიტკოვი, ჩივაძე, სოხაძე, ქარდავა.

*მსაჯი:* ლ. სილაგავა.

**29 სექტემბერი. „შევარდენის“ სტადიონი**

**საქართველო — აზერბაიჯანი 1-0**

**საქართველო:** ივარდავა, ზ. ლაბაძე, მანჩხავა, ჩივაძე, ზაზაშვილი, ჯოჯუა, ნორაკიძე, ზოიძე (ცქიფურიშვილი 71), ჭილაძე (შელია 46), სოხაძე (ქარდავა 46), გაბისონია (ბერელიძე 46, გეგუჩაძე 88).

*გოლი:* 1-0 ქარდავა (62)

*გაფრთხილება:* ჰუსაინოვი, მუსტალიმოვი, ლაბაძე, ნორაკიძე, შელია.

*მსაჯი:* მ. ელიკაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ და სკანდინავია

ბავშვობაში, ალბათ, ყველას წაუკითხავს ჰანს ქრისტიან ანდერსენის და ასტრიდ ლინდგრენის ჯადოსნური ზღაპრები. ვინც დანიას და შვედეთს ერთხელ მაინც სწვევია, დამეთანხმება, რომ დღევანდელი სკანდინავია ოდნავაც არ განსხვავდება ჩვენს ბავშვობაში წაკითხული ზღაპრებისგან და, მართლაც, იმ საოცნებო სამყაროს წარმოადგენს, მხოლოდ სიზმრებში რომ გვინახავს.

სკანდინავიის ეს ორი ქვეყანა, შესაძლოა, დღესდღეობით მსოფლიოში ყველას სჯობს ცხოვრების დონით და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფით. ტერიტორიით და მოსახლეობით დანიაც და შვედეთიც თითქმის საქართველოსნაირია, არც სტუმართმოყვარეობით ჩამოგვრჩებიან სკანდინავიელები და, ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველი ინტერესით გაეცნობა ამ მასალას.

## დანა კაპ 1 (ფრედერიკსჰავენი, დანია)

Dana Cup No.1

— ტურნირი ტარდება ვაჟებში (9 ასაკი) და ქალებში (5 ასაკი).

— გუნდების რაოდენობა — 300

— მონაწილე ქვეყანა — 30

— მოთამაშეთა რაოდენობა — 10.000

— სათამაშო მინდვრები — 20

— სპონსორები: სტენა ლაინი (სკანდინავიაში უდიდესი გემთმშენებელი კომპანია)

**ქალაქი ფრედერიკსჰავნი დანიის ჩრდილოეთით მდებარეობს და ამ ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პორტად ითვლება. ტურნირი 1984 წლიდან ტარდება.**

## გოთია კაპი (გეტებორგი, შვედეთი)

— ტურნირი ტარდება ვაჟებში (9 ასაკი) და ქალებში (5 ასაკი).

— გუნდების რაოდენობა — 1200

— მონაწილე ქვეყანა — 53

— მოთამაშეთა რაოდენობა — 25.000

— სათამაშო მინდვრები — 67

— სპონსორები: პეპსი-კოლა, გერმანული ავიაკომპანია „ლუფტჰანზა", სკანდინავიის ავიახაზები SAS, „მაკდონალდსი", „გეტებორგს პოსტენი" (შვედეთის რიგით მეორე გაზეთი) და კიდევ ექვსი ფირმა.

**ქალაქი გეტებორგი შვედეთის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს და სტოკჰოლმის შემდეგ ქვეყნის მეორე მთავარ ქალაქად ითვლება. აქ განლაგებულია „ვოლვოს", „ერიქსონის", „სკანიას" და სხვა ქარხნები. ტურნირი დასაბამს 1976 წლიდან იღებს.**

## დანა კაპი (ჰიორინგი, დანია)

— ტურნირი ტარდება ვაჟებში (8 ასაკი) და ქალებში (5 ასაკი).

— გუნდების რაოდენობა — 800

— მონაწილე ქვეყანა — 45

— მოთამაშეთა რაოდენობა — 23.000

— სათამაშო მინდვრები — 57

— სპონსორები: „ადიდასი", აგფა, „სნიკერსი", ნიდერლანდების სამეფო ავიაკომპანია, დანიის სამეფო ფოსტა და კიდევ 14 ფირმა.

პატარა ქალაქი ჰიორინგიც დანიის ჩრდილოეთით მდებარეობს, ფრედერიკსჰავნიდან 35 კილომეტრში. ტურნირის გარდა ღირსშესანიშნავი არაფერია, თავად ტურნირის ჩატარება კი 1982 წლიდან დაიწყო.

## ვაკე-91



**ზაზა დიდებაშვილი** „ვაკე-91"-ის დირექტორია. 30 წლის ახალგაზრდა კაცი სკოლაში ორ ჯგუფს თავადაც უძღვება. დღესდღეობით უმაღლეს ლიგაში „ვაკე-91"-ის 14 აღსაზრდელი თამაშობს, ზურაბ მენთეშაშვილი კი სულაც ეროვნული ნაკრების წევრია. ვაკელებზე წელსაც დიდი მოთხოვნილებაა და კიდევ 12 მათგანი (1983 წელს დაბადებულთაგან) ჩაირიცხა სხვადასხვა გუნდში. რაც შეეხება უცხოურ ტურნირებს, „ვაკე-91" თასის გარეშე არ დაბრუნებულა სკანდინავიიდან. ახლაც, ზაზა დიდებაშვილს მორიგი მოპოვებული ვერცხლის თასით ხედავთ *ფოტოზე*.

**ძმები მორგოშიები** ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ბიჭები არიან და კარგად თამაშობენ. სკანდინავიის ტურნირებში ყველას უმცროსმა — ირაკლიმ აჯობა და 17 მატჩში დანიის, შვედეთის, გერმანიის, ინგლისის, ნორვეგიის, საფრანგეთის, ფინეთის, სამხრეთ აფრიკის, პერუს, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების გუნდების კარში 21 გოლი შეაგდო.

## ქართველები სკანდინავიაში

რვა წლის **გიორგი ჭამარაული** „დანა-კაპის" ისტორიაში ყველაზე ნორჩი მონაწილე გახლდათ. მიუხედავად ასაკისა, „ჭამარა" არ ეპუებოდა სამი წლით უფროს მეტოქეებს და ორი ლამაზი გოლიც შეაგდო, ერთხელ კი პენალტიც „დაიმსახურა". მისი ერთი გოლი საუკეთესოდ აღიარეს და სპეციალური პრიზითაც დააჯილდოვეს.









**გურამ პავლიაშვილმა** (სურათზე მარცხნივ) „დანა-კაპის" ხელმძღვანელის თხოვნით ერთ მატჩში არბიტრის ფუნქციები შეასრულა და ისე კარგად იმსაჯა, ტურნირის ორგანიზატორებმა კიდევ 12 მატჩის გაძღოლაც ანდეს, მათ შორის ერთ-ერთი 1985 წელს დაბადებულთა ფინალიც! ცნობილ დანიელ მსაჯს ჯონ მილტონ ნილსენს მხედველობიდან არ გამორჩა გურამის პრინციპულობა, კვალიფიკაცია და მასთან ერთად სურათის გადაღებაც ისურვა.

ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „ვაკე-91", როგორც დასახელებიდან ჩანს, 1991 წელს ჩამოაყალიბა კოტე დოლიძემ. ამ კაცმა სპეციფიკური ვარჯიშით დიდი თავდადებით და ბავშვებისადმი უდიდესი სიყვარულით შეძლო პირველი „ვაკელების" სწორად აღზრდა და პრაქტიკულად ყველა პიონერი ვაკელი აზიარა ფეხბურთს. დღეს თითქმის ყველა მათგანი იმედისმომცემი ფეხბურთელია, ზურაბ მენთეშაშვილი კი სულაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრდა. კოტე დოლიძე შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა და მისი გზა ახალგაზრდა მწვრთნელმა ზაზა დიდებაშვილმა ღირსეულად განაგრძო. დღეს სკოლაში 300 ბავშვია გაერთიანებული, 10 მწვრთნელი 11 ასაკობრივ ჯგუფში 17 ჯგუფს ავარჯიშებს. ვაკელები ხშირად იმარჯვებენ სხვადასხვა ტურნირში, ახლაც წარმატებით გამოდიან ჩოხელის, მესხისა თუ მეტრეველის სახელობის პირველობებზე. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ სკანდინავიურ ტურნირებს, მასში ვაკელები 1994 წლიდან მონაწილეობენ და სხვათა შორის პირველად დანიაში გუნდის წასაყვანად კოტე დოლიძემ საკუთარი ბინა გაყიდა! დღემდე ვაკეს ერთი ოქროს, ხუთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს თასი აქვს მოპოვებული. სკანდინავიაში მოკლედ ვაკელებს იქ პატივს სცემენ. ვაკე-91 დღეს სამედიცინო ინსტიტუტის მინდორზე ვარჯიშობს. ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელებს რექტორს და პრორექტორს ფეხბურთი ძალიან უყვართ და ბავშვებს ყველანაირად ხელს უწყობენ. ზაზა დიდებაშვილმა ბავშვებთან ერთად საკუთარი ხელებით მოასწორა მოედანი, მიწაც არაერთხელ შეიტანა, აღადგინა დამცავი ღობე და წყლის მილებიც ჩაყარა. ეგ კი არა, მოედნის გარშემო ნაგავიც გაიტანეს და სამი პატარა წყლისსაფარიანი მინდვრის მოწყობასაც აპირებენ. მოკლედ, ამ ქვეყანაში, სადაც ფეხბურთის მოედნების კეთებას რესტორნების და ბეზინგასამართი სადგურების აშენებას არჩევენ, პატარა ბავშვები იძულებულნი არიან საკუთარი ხელებით აკეთონ ის, რაც წესით სახელმწიფო არავის უნდა ანებებდეს. თავად ზაზა დიდებაშვილმა სფფ-სა და უეფას ეგიდით ჩატარებული „პროგრეს კურსი" წარმატებით გაიარა და დიპლომი თავად უეფას პრეზიდენტის, ლენარტ იუჰანსონისგან მიიღო. მანამდე ზაზამ ფიზკულტურის ტექნიკუმში ორწლიანი „მწვრთნელთა სკოლა" დაამთავრა, შემდეგ კი ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიაც. მოკლედ, ეს 30 წლის ახალგაზრდა კაცი თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ჩინებულადაა მომზადებული. ვაკე-91-ის წარმატებები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ საქართველოში და გამოჩნდნენ კერძო პირები, ფირმები თუ კლუბები, რომელთაც სურთ ვაკე – 91-ზე შეფობა აიღონ. მათ შორის ყველაზე მეტად თბილისის „ვიტ-ჯორჯია" აქტიურობს

ზაზა დიდებაშვილს სერიოზული მიზნები აქვს და მისი სკოლის საქმიანობაც ამის ნათელი დასტურია...

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი გეგუჩაძე ისევ საფეხბურთო ფერხულში

გიორგი გეგუჩაძეს ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. იგი 6 წელი იყო თბილისის „დინამოს" მწვრთნელი. სამი თვის უკან გუნდიდან წავიდა და მიუხედავად იმისა, რომ ახლა უმუშევარია, დროს უქმად არ აცდენს და ისევ საფეხბურთო ფერხულშია ჩაბმული. სულ ახლახან საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ჭეიშვილთან ერთად იყო უეფას კონფერენციაზე, რომელიც ევროპის ქვეყნების ნაკრები გუნდების მწვრთნელებისთვის გაიმართა და ევრო-2000-ის ანალიზს მიეძღვნა.

— „ახლა ცოდნას ვიმაღლებ და უმუშევრობის მიუხედავად ვცდილობ ფეხბურთს არ ჩამოვრჩე. სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას და აღმასრულებელი დირექტორის ვალერი ჩოლარიას ხელშეწყობით და დავით ყიფიანის რეკომენდაციით 11-13 სექტემბერს ჟენევაში დავესწარი უეფას კონფერენციას, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ".

● ***რაზე გამახვილდა ყურადღება კონფერენციაზე?***

— კონფერენცია ევროპის ჩემპიონატს მიეძღვნა, მასში ევროპული ფეხბურთის მთელი ელიტა მონაწილეობდა და არ დავმალავ, ამ ხალხთან ურთიერთობამ ბევრი რამ შემძინა. სრულყოფილი ანალიზი ჩაუტარდა ევრო-2000-ს. იყო მოხსენებები გოლებზე, ტაქტიკაზე, მწვრთნელთა მუშაობაზე, ცალკეულ ფეხბურთელებზე, მსაჯობაზე. საერთო შეფასებით ეს ევროპის ჩემპიონატი საუკეთესო იყო, რის დასტურადაც სტატისტიკაც მოიშველიეს. ჩემპიონატის შედეგიანობა მაგალითად, ყველაზე მაღალი იყო ბელგია-ჰოლანდიაში — საშუალოდ 2,74 გოლი ერთ მატჩში. კონფერენცია 5 ენაზე მიმდინარეობდა და ამ პრინციპით სადისკუსიო კლუბები ჩამოყალიბდა. განიხილეს მნიშვნელოვანი საკითხები, ურთიერთობა კლუბებსა და ნაკრებ გუნდებს შორის, ურთიერთობა პრესასთან. დელეგაციებმა ერთობლივი წერილით მივმართეთ ევროკავშირს სატრანსფერო პოლიტიკის შესახებ, სადაც აღვნიშნეთ, რომ იმ კანონების მიღება, რომელიც ევროკავშირს აქვს ჩაფიქრებული, მსოფლიო ფეხბურთში ქაოსს გამოიწვევს და უმჯობესია კომპრომისები ვეძიოთ და საერთო აზრამდე მივიდეთ. უეფას კონფერენციამდე წამყვანი ევროპული კლუბების წარმომადგენელთა შეხვედრაზე ითქვა, რომ ნაკრებთა ამხანაგური თამაშები საჭირო არ არის. კლუბების ასეთმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია სწორედ ჩვენი შემხვედრი წინადადების წამოყენება. ქართულმა დელეგაციამ — შოთამაც და მეც აღვნიშნეთ, რომ აუცილებელია გაიზარდოს ნაკრების წევრთა გამოძახების ვადა თუნდაც 5 დღემდე, სანაკრებო მინი-ტურნირებზე, ისეთი როგორიც მალტასა და კვიპროსზე ტარდება, ნაკრებს უნდა ჩაეთვალოს ერთ გამოძახებად.

პოლემიკა გამოიწვია ოქროს გოლისა და პასიური ოფსაიდის წესებმა. მწვრთნელთა უმეტესობამ ოქროს გოლის გაუქმება მოითხოვა.

მთლიანობაში, ძალიან სასარგებლო შეხვედრა იყო და კონფერენციამ გაამართლა კიდეც.

● ***როგორ გესახებათ თქვენი სა-***



*კონფერენციის მსვლელობისას: შოთა ჭეიშვილი, გიორგი გეგუჩაძე, რუდი ფიოლერი*

***მწვრთნელთ კარიერის მომავალი?***

— 12-16 ოქტომბერს ფრანკფურტში ისევ უეფას კონფერენციაში მივიღებ მონაწილეობას, დასრულებისთანავე ერთთვიან სტაჟირებას გავივლი ბელგიის „გენკში".

***კონფერენციის წევრთა მიმართვა ევროკავშირისადმი:***

„ჩვენი სურვილია ევროპული ფეხბურთის სტაბილურად განვითარებისათვის და საერთაშორისო შეჯიბრებების მომავალი კეთილდღეობისთვის შევინარჩუნოთ არსებული სატრანსფერო სისტემის ძლიერი მხარეები".

„ჩვენ მოწადინებული ვართ მივაღწიოთ ისეთ შეთანხმებას, რომელიც ხელსაყრელ გარემოს შექმნის ევროპული ფეხბურთის განვითარებისათვის".

„არსებულ სისტემაში ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულმა ცვლილებებმა შეიძლება სრულ ქაოსამდე მიგვიყვანოს თუ არ დაისახება პრობლემის გადაწყვეტის გზები".

„ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ წინადადებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს წვრთნას, ახალგაზრდა ფეხბურთელების წარმოჩენას და განვითარებას, კონტრაქტების სწორ მიზნობრივ გამოყენებას და კომპენსაციებს, რაც განაპირობებს სტაბილურობას ფეხბურთში."

„ჩვენ მივმართავთ ევროკავშირს ყურადღებით მოეკიდოს იმ გულისტკივილს, რომელიც გამოხატა ევროპული ფეხბურთის სამყარომ და ითანამშრომლოს Task Force-თან ახალი სატრანსფერო სისტემის შემუშავებაზე, რომელიც გაითვალისწინებს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ფეხბურთის სპეციფიკას.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

## მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ულოცავს საფეხბურთო კლუბ „ცხინვალის" გენერალურ დირექტორს ***ზაქარია (ფაცო) ნასუაშვილს*** საპატიო ჯილდოს - ღირსების ორდენის კავალრობას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**

**ეძღვნება თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის 75 წლისთავს**

**1925 75 2000**

# VIII. ავთანდილ ჭკუასელის ორი გოლი

**1957 წლის 26 აპრილი**
**«დინამო» თბილისი – «ტორპედო» მოსკოვი – 2–1 (1–0).**
**„დინამო":** ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშიპა, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, რამიშვილი, ხასაია, ჭკუასელი, ღოღობერიძე, იამანიძე, მესხი.
**„ტორპედო":** დენისენკო, სოკოლოვი, მარიენკო, ოსტროვსკი, ანისიმოვი, სენიუკოვი, მეტრეველი, ივანოვი, ფალინი, სავუშკინი (ტერეხოვი), არბუტოვი.
მსაჯი ვ. ბოგდანოვი (ლენინგრადი).

როგორც ყოველთვის, თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" ეს მატჩიც დიდ ინტერესს იწვევდა, მით უფრო რომ ორივე გუნდი მოსკოვის „დინამოსთან" ერთად ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა (თუმცა ჩვენებმა ერთი თამაშით მეტი ჩაატარეს მეტოქეებზე). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სტუმართა მეკარემ ალბერტ დენისენკომ და დაცვის ხაზმა გამოცდილი სტოპერის ვიქტორ მარიენკოს ხელმძღვანელობით იმ გათამაშებაში (პირველ 4 მატჩში) „მშრალად" შეინახა თავისი კარი, გასაგები გახდება, რარიგ წყუროდათ ჩვენს თავდამსხმელებს სტუმართა „ბადის სიმაგრის მოსინჯვა".



თამაშობს ავთანდილ ჭკუასელი...

თამაში მაღალ ტემპში დაიწყო — გუნდები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და ზედმეტი „დელიკატურობისათვის" დრო არ დაუკარგავთ. ორივე კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ თავდამსხმელთა დარტყმები უზუსტოც იყო და სუსტიც. დინამოელები მეტწილად ცენტრიდან უტევდნენ, სადაც თავიდანვე ძალზე აქტიურობდა მარჯვენა შუამარბის ადგილზე გამოსული ავთანდილ ჭკუასელი. რაც შეეხება ტორპედოელებს, ისინი უფრო ფლანგებიდან ცდილობდნენ ჩვენს საჯარიმოში შეღწევას. ამისათვის მათ ორი უსწრაფესი გარემარბი ჰყავდათ: მარჯვნივ სლავა მეტრეველი და მარცხნივ არბუტოვი. მცველებს ერთნაირად უჭირდათ დინამოელისა და ტორპედოელთა „დუეტის" შეჩერება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოსკოველთა გამოცდილი მეკარე მხოლოდ მატჩის მე-10 წუთზე ჩაება თამაში, ჩაება და... საკუთარი ბადიდან ბურთი გამოიტანა. ეს ასე მოხდა: თბილისელთა ცენტრალურმა მცველმა ნიაზ ძიაპშიპამ ოსტატურად მოიგერია სტუმართა თავდასხმის შეტევა და ბურთი თავის კაპიტანს ავთანდილ ღოღობერიძეს გადასცა. ღოღობერიძისაგან ბურთი ჭკუასელს მიუვიდა. ჩვენმა თავდამსხმელმა „გზადაგზა" დამაჯერებლად, საკმაოდ ლამაზად, მოიტოვა უკან „ტორპედოს" ორი მცველი და უძლიერესი. „მოჭრილი" ბურთი ზუსტად დაარტყა კარში. დენისენკო ვერ მისწვდა ბურთს, გოლი კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში გავიდა — 1-0.

ტემპმა კიდევ უფრო იმატა, ახლა მოსკოველები წამოვიდნენ შეტევაზე. განსაკუთრებით აქტიურობდა მარჯვენა ფლანგი მეტრეველ-ივანოვის სახით. სტუმრებს არაფერი გამოუვიდათ, ვინაიდან ჩვენი მარცხენა მცველი გივი ხოჭოლავა და მარცხენა ნახევარმცველი ვოვა რამიშვილი უშეცდომოდ აკეთებდნენ „თავის საქმეს". სლავა მეტრეველს ამ დღეს ძალიან გაუჭირდა საჯარიმოში შეღწევა და მთელი თამაშის განმავლობაში, ფაქტობრივად, არც ერთხელ არ დაურტყამს კარში სახიფათოდ. რაც შეეხება ივანოვის „არყოფნას" მოედანზე, ეს მთლიანად რამიშვილის „ბრალია". ვერაფერი ვერ მოიმოქმედეს რა მარჯვენა ფლანგიდან, მოსკოველებმა ახლა შეტევები მარცხნივ გადაიტანეს, მაგრამ ვერც სავუშკინმა და არბუტოვმა უშველეს საქმეს — ვლადიმერ ელოშვილი და ალიოშა კოტრიკაძე ეფექტურად შლიდნენ მოსკოველთა ყველა იერიშს.

ასეა თუ ისე, ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო, ხოლო შესვენებამდე 15 წუთით ადრე დინამოელებმა ისეთი იერიშები მიიტანეს „ტორპედოს" კარზე, რომ აშკარა გახდა, ახალი გოლი უნდა გასულიყო. კვლავ მოსვენებას არ აძლევდა მოსკოველთა დაცვას ენერგიული ჭკუასელი. ამ დღეს მისი „კოლეგა" შოთა იამანიძე (ისიც ინსაიდს თამაშობდა — მარცხნივ) კარგად უბამდა მხარს პარტნიორებს, რითაც მოედნის ცენტრი და საჯარიმოს მისადგომები მთლიანად დინამოელთა „გამგებლობაში" იყო. აი, ჩვენი გარემარბები მიხეილ მესხი და ბორის ხასაია რატომღაც უკვე ნაკლებად აწუხებდნენ მეტოქის დაცვას. ბ. ხასაიას საკმაოდ მჭიდროდ ეთამაშებოდა სტუმართა მარცხენა მცველი ლეონიდ ოსტროვსკი, რათა არ მიეცა მისთვის თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა.

მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლო ჩვენმა მარჯვენა გარემარბმა ორი, მძიმე საკმაოდ ეფექტური დარტყმა კარში. პირველად ეს იყო მე-3 წუთზე, როდესაც ჭკუასელმა კვლავ ოსტატურად მოატყუა ვიქტორ მარიენკო და გარღვევაზე გაიყვანა ხასაიას მძლავრი დარტყმა და ტორპედოელთა მეკარემ გაჭირვებით მოიგერია ბურთი. ამ ეპიზოდიდან სულ ერთი წუთი გავიდა და დაუღალავმა ავთანდილ ჭკუასელმა კვლავ აიძულა დენისენკო ბადიდან გამოეტანა ბურთი. ფორვარდმა ხოჭოლავას გადაცემა მიიღო. სწრაფად დაიძრა წინ მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა კარში, ამჯერად მარცხენა კუთხეში. სტუმრები იძულებულნი გახდნენ მეორედ დაეწყოთ თამაში ცენტრიდან — 2-0.



ბორის ხასაიასა და ავთანდილ ღოღობერიძის იერიში ტორპედოელთა კარზე...

ტორპედოელთა ყველაზე გამოცდილი ოსტატი, ცბიერი თავდამსხმელი ვალენტინ ივანოვი ცდილობდა კომბინაციების წამოწყებას, მაგრამ ამ დღეს აშკარად არ უმართლებდა. ქების ღირსია ჩვენი ნიაზ ძიაპშიპა, რომელმაც 39-ე წუთზე უკანასკნელ მომენტში გოლისაგან იხსნა ჩვენი კარი, მას შემდეგ, რაც მარცხენა გარემარბმა არბუტოვმა სწრაფი გარღვევის შემდეგ სახიფათოდ ჩააწოდა ბურთი ჩვენი კარის სიახლოვეს მყოფ პარტნიორებს. სტუმართა შორის მაინც ყველაზე ნაყოფიერად მოქმედებდა მარჯვენა ნახევარმცველი ანისიმოვი (იგი ადრე ვვს-ში თამაშობდა და მაშინ მუდამ უმართლებდა მეკარე მარღანიას წინააღმდეგ თამაში — როგორც წესი, გოლი გაჰქონდა მის კარში).

სამწუხაროდ, თბილისელებმა ჩათვალეს, რომ თამაში უკვე „გაკეთებული" იყო და რამდენადმე მოეშვნენ ყველა რგოლში. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა არბუტოვმა და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა ჩვენს საჯარიმოში. ინიციატივა ახლა სტუმართა მხარეს იყო. არბუტოვმა ეფექტურად გამოიყენა ჩვენი მცველების შეცდომა, დასარტყმელ პოზიციაში გაიყვანა ივანოვი და ტორპედოელთა კაპიტანმა გაგზავნა ბურთი კარში — 2-1.



მატჩის საუკეთესო მოთამაშეები ავთანდილ ჭკუასელი და ალექსეი ანისიმოვი ერთმანეთს ულოცავენ ჯილდოს.

„ტორპედომ" ახლა ქულის გადარჩენაც მოინდომა და განაგრძო მწვავე შეტევები. ამჯერად ჩვენი დაცვა გაცილებით მეტ ყურადღებას იჩენდა სტუმართა ფორვარდებისადმი. თავის მხრივ, ახლა უკვე დინამოელებიც ეცადნენ ანგარიშის გაზრდას.

ეს საინტერესო მატჩი, რომლის ნამდვილი გმირი ჩვენი ა. ჭკუასელი იყო, „დინამოს" მეოთხე გამარჯვებით დამთავრდა — მოსკოველ თანაკლუბელებს ქართველი ფეხბურთელები გათამაშების ცხრილში ახლა მხოლოდ ბურთების შეფარდებით ჩამორჩებოდნენ.

მატჩის შემდეგ პირველად ჩვენს სტადიონზე გაიმართა საუკეთესო მოთამაშეთა დაჯილდოება, რომლის ინიციატორი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" მაშინდელი ინფორმაციისა და სპორტის განყოფილების გამგე, „ლელოს" პირველი რედაქტორი მიხეილ კაკაბაძე იყო. ჯილდოები გადაეცათ დინამოელ ავთანდილ ჭკუასელს (იგი ბორის პაიჭაძემ გადასცა) და ტორპედოელ ალექსეი ანისიმოვს (გადასცა შოთა შავგულიძემ).

ეს მატჩიც უდავოდ შევიდა თბილისის „დინამოს", ასე ვთქვათ, „ოქროს ფონდში".

**ოთარ ნოზაძე**

*ფოტოები ავტორის არქივიდან*

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# ვიალიმ რა დააშავა?

ამ რამდენიმე დღის წინათ „ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა, 36 წლის ჯანლუკა ვიალიმ ცნობა მიიღო კლუბის გამგეობის თავმჯდომარე კენ ბეიტსისაგან, რომ იგი განთავისუფლებულია თანამდებობიდან და უფლებამოსილება თავის თანაშემწე გრემ რიქსს უნდა გადააბაროს. ისე კი, სენიორ ვიალი ნუ ინაღვლებს, უკლებლივ მიიღებს იმ თანხას, რომელიც კონტრაქტით ეკუთვნის. ბოლოს კი, თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ვიალის გაწეული მუშაობისათვის.

მადლობა რისთვის?

იმისათვის, რომ „ჩელსის" არსებობის 95-წლიან ისტორიაში ვიალი ყველაზე იღბლიანი, წარმატებით მომუშავე მწვრთნელი აღმოჩნდა. სულ რაღაც ორნახევარი წლის განმავლობაში „ჩელსიმ" მოიპოვა ინგლისის თასი, თასების მფლობელთა თასი, ევროპის სუპერთასი, ინგლისის ლიგის თასი, გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, თასების მფლობელთა თასის ფინალში. ერთადერთი, რასაც ვერ მიაღწია, ეს ინგლისის ჩემპიონობა იყო. ვიალი „ჩელსის" სულ მეთხუთმეტე მწვრთნელი იყო და დაახლოებით იმდენივე გააკეთა, რაც მისმა თოთხმეტმა წინამორბედმა — ბოლოს და ბოლოს ეს კლუბი ხომ სულ ერთხელ იყო ინგლისის ჩემპიონი 1955 წელს ტედ დრეიკის ხელმძღვანელობით.

მაშ, რისთვის მოხსნეს?

გავიხსენოთ „ჩელსის" ბოლო წლების ისტორია. 1993-ში კლუბის მოთამაშე მწვრთნელი გახდა ცნობილი გლენ ჰოდლი, რომელმაც დაუყოვნებლივ მიიწვია სახელოვანი რუუდ გულიტი. სულ მალე ჰოდლი ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელად დანიშნეს. მან ადგილი „ჩელსიში" ახალ მოთამაშე მწვრთნელ გულიტს დაუთმო. თავის მხრივ გულიტმა „იუვენტუსიდან" ჯანლუკა ვიალი მიიწვია 1998 წლის თებერვალში. გულიტი მოხსნეს და ახალი მოთამაშე მწვრთნელი უკვე ვიალი გახდა. ჯანლუკა შარშანდელ სეზონამდე ბევრ მატჩში მონაწილეობდა და საკმაოდ კარგადაც, შემდეგ კი „მხოლოდ" მწვრთნელის საქმიანობით შემოიფარგლა.

დიახ, მაგრამ, მაინც, რა დააშავა?

წარმოიდგინეთ, მის მოხსნას ადრეც ცდილობდნენ, შარშან შემოდგომითაც კი, როცა „მანჩესტერ იუნაიტედს" გაუგონარი ანგარიშით 5-0 მოუგო, შემდეგ, „ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში რომ ვერ გაუმკლავდა. ზოგჯერ თვით ვიალიც ჩიოდა, რომ ძალიან დაიღალა, მისი კონტრაქტი კი მხოლოდ 2001 წლის ზაფხულში თავდება.

ახლა ვიალი დიდ დანახარჯებში დაადანაშაულეს — მოთამაშეების ყიდვას 150 მილიონი დოლარი მოახმარა, ჩემპიონი კი ვერ გახდა. მოთამაშეებს ძალიან გაუამხანაგდა, თავი ისე როდი ეჭირა, როგორც ნამდვილ, მკაცრ მწვრთნელს შეეფერება. იტალიელი ფეხბურთელების მთელი გუნდი ჰყავდა — ამბროზეტი, კუდიჩინი, დელა ბონა, კაზირაგი, პერკასი, პანუჩი, მათ მფარველობდა და ძმაკაცურად ექცეოდა. მართალია, „ჩელსიში" კიდევ არის ერთი იტალიელი — ძოლა, მაგრამ სწორედ მასთან მწვრთნელს კარგი ურთიერთობა არა ჰქონია. ისე, რომ ვთქვათ, ყველა ეს ფეხბურთელი როდი იყო ვარსკვლავი. ამასობაში იჩაგრებოდნენ ნიჭიერი ინგლისელი ახალგაზრდა მოთამაშეები მორისი და ჰარლი. მათთვის ადგილი ძირითად შემადგენლობაში უკვე აღარ მოიძებნებოდა.



საქმე გააფუჭა „ჩელსიდან" „ვალენსიაში". გადასული დეშამის განცხადებამ: „ვიალი კარგი მოთამაშე კი იყო, მაგრამ როგორც მწვრთნელი, საშუალოა, არც კარგია და არც ძალიან ცუდი". ძოლა და ფლო იმუქრებოდნენ, რომ გუნდს დასტოვებდნენ. სულ რაღაც სამი კვირის უკან კი გუნდში ნამდვილი სკანდალი მოხდა: პირდაპირ ვარჯიშის დროს მუშტიკრივი ატეხეს ჰასელბაინკმა და ტომემ. ვიალი [illegible] და ეს სამარცხვინო მოვლენა არ გაეხმაურებინა — ტომე დაუყოვნებლივ დაუთმო „სანდერლენდს". პრეზიდენტმა კენ ბეიტსმა გვიან შეიტყო ეს და ძალიან გაბრაზდა.

ვიალის მოხსნამ „ჩელსის" გულშემატკივრების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თვით განთავისუფლებული მწვრთნელი რამდენიმე დღე არაფერს ამბობდა, შემდეგ კი თქვა, რომ ბეიტსი შეცდომაში შეიყვანეს მისმა მოადგილემ კოლინ ჰატჩინსონმა და მწვრთნელმა რეი უილკინსმა.

მაინც ვინ შეცვლის ვიალის? ვინ აღარ დაასახელეს — იგივე ძოლა, გრემ რიქსი, რეი უილკინსი, განთქმული ტერი ვენეიბლსი, ჯორჯ გრემი, ულტერ სმითი, დინო ძოფი, ფრანკ რაიკაარდი, ემე ჟაკე, ხოსე-ანტონიო კამაჩო, მარჩელო ლიპი, უმბერტუ კოელიუ.

დასახელებით კი დაასახელეს, მაგრამ, უკანასკნელი ცნობით, „ჩელსის" გამგეობამ გადაწყვიტა შორს აღარ ეძებოს და (შესაძლოა, დროებით) უპირატესობა შეთქმულების ერთ-ერთ ორგანიზატორს რეი უილკინსს მიანიჭა.

## მსოფლიო ჩემპიონატის კონტურები

ფიფას საორგანიზაციო კომიტეტმა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის კონტურები დაადგინა.

გახსნის მატჩი საფრანგეთის ნაკრების მონაწილეობით 31 მაისს სეულში გაიმართება. ფინალი 30 ივნისს იოკოჰამაში შედგება.

64-ვე მატჩი თანაბრად განაწილდება იაპონიასა და კორეაში. შეხვედრები 20 ქალაქში გაიმართება. აქედან 10 ერთი ქვეყნისა იქნება, ათიც მეორესი. დადგენილია მატჩების დაწყების დროც: დღის შეხვედრები 15.30 დაიწყება, საღამოსი 18.00 და 20.30 ადგილობრივი დროით. ეს, რომ, თბილისის დროზე გადავიყვანოთ, მატჩების დასაწყისი იქნება 10.30, 13 საათზე და 15.30-ზე. გარდა კვირისა, – 2 ივნისისა და აგრეთვე იმ დღეებისა, როცა ჯგუფებში დასკვნითი ტურები ტარდება, ერთ დღეში სამ შეხვედრაზე მეტი არ გაიმართება. 2 ივნისს შეხვედრები (თბილისის დროით) დაიწყება 8.30, 11.30, 13.30 და 15.30 საათზე.

# ჩემპიონთა ლიგა

## ჯგუფური ტურნირი II ტური




ხარობს ბრაზილიელი ჯოვანო – „ოლიმპიაკოსის“ „გაჭირვების ტალკვესი“

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | რეალი | | 1-0 | | 2-2 | 3-2 | 4 |
| 2. | სპარტაკი | 0-1 | | 2-0 | | 2-1 | 3 |
| 3. | ლევერკუზენი | | 0-2 | | 3-2 | 3-4 | 3 |
| 4. | სპორტინგი | 2-2 | | 2-3 | | 4-5 | 1 |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ლაციო | | 3-0 | | 3-0 | 6-0 | 6 |
| 2. | სპარტა | 0-3 | | 0-1 | | 0-4 | 0 |
| 3. | არსენალი | | 1-0 | | 3-2 | 4-2 | 6 |
| 4. | შახტარი | 0-3 | | 2-3 | | 2-6 | 0 |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ჰერენვენი | | 0-1 | | 1-3 | 1-4 | 0 |
| 2. | ვალენსია | 1-0 | | 2-1 | | 3-1 | 6 |
| 3. | ოლიმპიაკოსი | | 1-2 | | 2-1 | 3-3 | 3 |
| 4. | ლიონი | 3-1 | | 1-2 | | 4-3 | 3 |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შტურმი | | 3-0 | | 0-5 | 3-5 | 3 |
| 2. | გალათასარაი | 0-3 | | 3-2 | | 3-5 | 3 |
| 3. | მონაკო | | 2-3 | | 0-1 | 2-4 | 0 |
| 4. | რეინჯერსი | 5-0 | | 1-0 | | 6-0 | 6 |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | დეპორტივო | | 2-1 | | 1-1 | 3-2 | 4 |
| 2. | ჰამბურგი | 1-2 | | 4-4 | | 5-6 | 1 |
| 3. | იუვენტუსი | | 4-4 | | 2-1 | 6-5 | 4 |
| 4. | პანათინაიკოსი | 1-1 | | 1-2 | | 2-3 | 1 |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბაიერნი | | 3-1 | | 3-1 | 6-2 | 6 |
| 2. | რუსენბორგი | 1-3 | | | 3-1 | 4-4 | 3 |
| 3. | პსჟ | | 1-3 | | 4-1 | 5-4 | 3 |
| 4. | ჰელსინბორგი | 1-3 | | 1-4 | | 2-7 | 0 |

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ანდერლეხტი | | 1-0 | | 1-5 | 2-5 | 3 |
| 2. | პსვ | 0-1 | | 2-1 | | 2-2 | 3 |
| 3. | დინამო კ. | | 1-2 | | 0-0 | 1-2 | 1 |
| 4. | მანჩესტერი | 5-1 | | 0-0 | | 5-1 | 4 |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბეშიქთაში | | 3-0 | | 1-4 | 4-4 | 3 |
| 2. | ბარსელონა | 0-3 | | 4-0 | | 4-3 | 3 |
| 3. | ლიდსი | | 0-4 | | 1-0 | 1-4 | 3 |
| 4. | მილანი | 4-1 | | 0-1 | | 4-2 | 3 |

### A ჯგუფი

**რეალი (ესპანეთი) — სპარტაკი (რუსეთი) 1-0**

ელგერა (50).

**ბაიერი (გერმანია) — სპორტინგი (პორტუგალია) 3-2**

0-1 ანდრე კრუზი (12), 1-1 რამელოვი (65), 2-1 ბრდარიჩი (72), 3-1 ნოივილი (77), 3-2 ზა პინტუ (79, პენ.).

### B ჯგუფი

**არსენალი (ინგლისი) — შახტარი (უკრაინა) 3-2**

0-1 ბახარევი, 0-2 ვორობეი, (29), 1-2 ვილტორი (45), 2-2, 3-2 კიოუნი (85, 95).

**ლაციო (იტალია) — სპარტა (ჩეხეთი) 3-0**

ინძაგი (35, 70), ვერონი (58).

### C ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ლიონი (საფრანგეთი) 2-1**

1-0 ოფორი კუაე (19), 2-0 ჯოვანი (34), 2-1 ფოე (88).

**ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვალენსია (ესპანეთი) 0-1**

კილი (38).

### D ჯგუფი

**მონაკო (საფრანგეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) 0-1**

ვან ბრონკჰორსტი (8).

**შტურმი (ავსტრია) — გალათასარაი (თურქეთი) 3-0**

იურანი (31), შოპი (64, 82).

### E ჯგუფი

**დეპორტივო (ესპანეთი) — ჰამბურგი (გერმანია) 2-1**

1-0 პანდიანი (43), 1-1 ბარბარესი (53), 2-1 სკალონი (89).

**იუვენტუსი (იტალია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2-1**

1-0 ტაკინარდი (35), 1-1 გუმასი (45), 2-1) ტრეზეგე (83).

### F ჯგუფი

**ბაიერნი (გერმანია) — რუსენბორგი (ნორვეგია) 3-1**

0-1 სორენსენი (38), 1-1 იანკერი (73), 2-1 ელბერი (77), 3-1 ლინკე (80).

**პსჟ (საფრანგეთი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) 4-1**

1-0 ანელკა (24), 1-1 ბ. იოჰანსენი (45), 2-1 რობერი (63), 3-1 კრისტიანი, 4-1 კარკური (89).

### G ჯგუფი

**ანდერლეხტი (ბელგია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1-0**

დეედენი (81).

**დინამო (უკრაინა) — მანჩესტერი (ინგლისი) 0-0**

### H ჯგუფი

**ბეშიქთაში (თურქეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 3-0**

აჰმეთი (37,74), ნუმა (87).

**ლიდსი (ინგლისი) — მილანი (იტალია) 1-0**

ბოიერი (89).

„შტურმმა“ „გალას“ შტურმივით გადაუარა



## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### 6 ქულას ჩამოაჭრენ

სოჭის „ჟემჩუჟინის“, ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის“, ყაზანის „რუბინის“ და სმოლენსკის „კრისტალის“ ხელმძღვანელები მკაცრად არიან გაფრთხილებულნი, რომ 6-6 ქულას ჩამოაწერენ თუ ერთი თვის განმავლობაში არ დაფარავენ მოთამაშეების ტრანსფერების თანხებს.

### საინტერესო განცხადება...

**...გააკეთა ცნობილმა რუმინელმა მსაჯმა პეტრონელ ენაკემ. იგი მზად არის მთელი თავისი გასამრჯელო, რომელსაც ფეხბურთის მინდვრებზე მიიღებს, იმ მოთამაშეებს გადასცეს, რომლებიც ფინანსურ გაჭირვებას განიცდიან.**

### ლატვიელები დიდ მოდაში არიან.

ამ ბოლო ხანებში ლატვიელი ფეხბურთელები ინგლისში დიდ მოდაში არიან. პირველი დივიზიონის კლუბ „კრისტალ პალასში“ (ლონდონი) გადავიდა რიგის „სკონტოსა“ და ლატვიის ნაკრების მეკარე ალექსანდრ კალინკო, ამავე გუნდის მცველი იგორ სტეპანოვი კი, — ლონდონის „არსენალში“.

### აკრძალვა ერთი წლით

**მოლდოვას კლუბ „კონსტრუქტორულს“ ერთი წლით აეკრძალა ევროტურნირებში მონაწილეობა იმის გამო, რომ მისი მოთამაშეები მატჩის შემდეგ მსაჯს დაემუქრნენ. რაც შეეხება ფეხბურთელ იური მირზას, იგი უკვე ორი წლით არის დისკვალიფიცირებული, რადგან მსაჯს თავს დაესხა და უნდოდა ხელი გაერტყა.**

### რამდენიმე მატჩი ჩრდილოეთ კორეაშიც ჩატარდება.

როგორც ფიფას გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ-რუფინენმა განაცხადა, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ორი ან სამი მატჩი შეიძლება ჩრდ. კორეაშიც ჩატარდეს.

ეს იდეა დიდი ხანია პრესაში განიხილებოდა, მაგრამ პირველად მოიწონა ფიფას თანამდებობით მეორე პირმა. იმის მიუხედავად, რომ სატურნირო კალენდარი უკვე შედგენილია, გენერალური მდივნის სიტყვით, შეიძლება მასში ცვლილებების შეტანა.

### კინი და ბექჰემი აქციონერები ხდებიან

**ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კლუბის აქციონერები გახადოს წამყვანი ფეხბურთელები დევიდ ბექჰემი და როი კინი. თითოეული მათგანი მიიღებს პაკეტების აქციას 10 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით.**

**ეს საჩუქარი, ხელმძღვანელების აზრით, საშუალებას მისცემს მათ ეს ფეხბურთელები სხვაგან არ გადავიდნენ. შეიძლება აქციონერი პოლ სქოულიც გახდეს.**

### ძველ კლუბს დაუბრუნდა

საზღვარგარეთ კარგა ხანს ხეტიალის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა ჩეხეთის ნაკრების ცნობილი მცველი იან სუხოპარეკი.

იგი თავის ადრინდელ კლუბში, პრაღის „სლავიაში“ ითამაშებს, რომელთანაც ორწელიწადნახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა.

### დაგვიბერდა უეფას პრეზიდენტი?

უეფას 70 წლის პრეზიდენტი შვედი ლენარტ იუჰანსონი ცუდად გაგვიხდა – მიუხედავად შორი მანძილისა, მან ავსტრალიაში ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე დასწრება განიზრახა, თუმცა მას ექიმები აფრთხილებდნენ: ასაკში ხართ, ხანგრძლივ მგზავრობას მოერიდეთო. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა ეს რჩევა ყურად არ ილო და მეტად ცუდად შეიქნა თვითმფრინავში. როდესაც ადელაიდას აეროპორტში ჩაფრინდა, საფეხბურთო ტურნირის ნაცვლად, იუჰანსონი ჰოსპიტალში გააქანეს. ექიმების თქმით, პაციენტს გულის უკმარისობა სჭირს და იგი ამჟამად ინტენსიური თერაპიის კურსს გადის.



ლენარტ იუჰანსონი

# ასპარეზობები და დღეები

(მეორე გვერდიდან)

10.15 ხორვატია-აშშ
14.00 ქალები. მატჩი მე-3 ადგილისათვის
15.15 ფინალი

**ფრენბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.
**A ჯგუფი**
4.00 ეგვიპტე-ჰოლანდია
6.30 კუბა-ავსტრალია
14.30 ესპანეთი-ბრაზილია
**B ჯგუფი**
6.00 იუგოსლავია-არგენტინა
8.30 რუსეთი-იტალია
12.30 აშშ-კორეა

**ხელბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ქალები
4.00-12.30

**აკადემიური ნიჩბოსნობა**
2.30-6.30 ფინალი

**მძლეოსნობა**
4.00-16.00

**აფროსნობა**
6.00-11.00

**ცურვა**
9.30-11.15

**წყალხტომი**
4.00-7.00

**ბატუტი**
11.00-15.00 ვაჟები

**სოფტბოლი**
3.00-9.30

**სროლა**
3.00-9.30 ვაჟები.

**ჩოგბურთი**
5.00-11.00 ვაჟები, ქალები.

**მაგიდის ჩოგბურთი**
4.00-17.00 ვაჟები, ქალები.

**ძალოსნობა**
8.30-15.00 ვაჟები (85 კგ).

**ფარიკაობა**
3.30-14.50

**ფეხბურთი**
12.30-14.00 მეოთხედფინალები. ვაჟები.

**ბალახის ჰოკეი**
7.30-12.30 ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.

**24 სექტემბერი, კვირა**

**კეტბურთი**
5.30-13.30 წინასწარი ტურნირი

**კალათბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ქალები.
**A ჯგუფი**
3.30 სენეგალი-სლოვაკეთი
10.30 საფრანგეთი-ავსტრალია
15.30 ბრაზილია-კანადა
**B ჯგუფი**
5.30 ახ. ზელანდია-რუსეთი
8.30 კუბა-კორეა
11.30 აშშ-პოლონეთი

**ბიჩ-ვოლეი (პლაჟის ფრენბურთი)**
3.00-10.30 ვაჟები

**კრივი**
7.00-15.30 51, 63,5, 81 კგ-II წრე

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**
3.30-11.00 54, 63, 76, 97 კგ

**წყალბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ვაჟები
**A ჯგუფი**
4.45 რუსეთი-იტალია
9.00 ესპანეთი-სლოვაკეთი
14.30 ავსტრალია-ყაზახეთი
**B ჯგუფი**
3.30 უნგრეთი-ჰოლანდია
6.30 იუგოსლავია-აშშ
13.15 ხორვატია-საბერძნეთი

**ფრენბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ქალები
**A ჯგუფი**
4.00 კენია-ხორვატია
6.00 ბრაზილია-აშშ
12.30 ავსტრალია-ჩინეთი
**B ჯგუფი**
6.30 იტალია-გერმანია
10.30 პერუ-კუბა
14.30 რუსეთი-კორეა

**ხელბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ვაჟები
**A ჯგუფი**
5.30 კუბა-კორეა
10.30 გერმანია-ეგვიპტე
15.30 რუსეთი-იუგოსლავია
**B ჯგუფი**
3.30 სლოვენია-ტუნისი
8.30 საფრანგეთი-ავსტრალია
13.30 შვედეთი-ესპანეთი

**აკადემიური ნიჩბოსნობა**
2.30-6.30

**მძლეოსნობა**
4.00-16.30

**აფროსნობა**
6.00-11.00

**ცურვა**
9.30-11.15

**წყალხტომი**
4.00-8.00 ქალები.

**ჩოგბურთი**
5.00-11.00 ერთეულთა თანრიგი. ვაჟები, ქალები.

**მაგიდის ჩოგბურთი**
4.00-17.00 წყვილთა თანრიგი

**ძალოსნობა**
ვაჟები
8.30-15.00 94 კგ.

**ფარიკაობა**
3.30-14.50

**ფეხბურთი**
11.30 ქალები. ნახევარფინალები

**ბალახის ჰოკეი**
7.30-12.30 ჯგუფური ტურნირი. ვაჟები, ქალები.

**25 სექტემბერი, ორშაბათი**
**(თამაშდება მედლების 18 კომპლექტი)**

**კალათბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ვაჟები
**A ჯგუფი**
5.30 ახ. ზელანდია-ლიტვა
8.30 იტალია-ჩინეთი
10.30 საფრანგეთი-აშშ
**B ჯგუფი**
3.30 ანგოლა-რუსეთი
13.30 იუგოსლავია-კანადა
15.30 ავსტრალია-ესპანეთი

**ბიჩ-ვოლეი**
**(პლაჟის ფრენბურთი)**
6.00-10.30 ქალები

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**
3.30-11.00 54, 63, 76, 97 კგ-1/4, 1/2 ფინალი
58, 69, 85, 130 კგ — წინასწარი შეხვედრები

**წყალბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.
**A ჯგუფი**
4.45 იტალია-ესპანეთი
9.45 ყაზახეთი-რუსეთი
14.30 სლოვაკეთი-ავსტრალია
**B ჯგუფი**
3.30 ჰოლანდია-აშშ
8.30 ხორვატია-უნგრეთი
13.15 იუგოსლავია-საბერძნეთი

**ფრენბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.
**A ჯგუფი**
6.00 ჰოლანდია-ესპანეთი
6.30 ბრაზილია-კუბა
12.30 ავსტრალია-ეგვიპტე
**B ჯგუფი**
4.00 არგენტინა-რუსეთი
8.30 კორეა-იუგოსლავია
14.30 იტალია-აშშ

**ხელბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ქალები
**A ჯგუფი**
10.30 კორეა-ანგოლა
15.30 საფრანგეთი-რუმინეთი
**B ჯგუფი**
8.30 დანია-ბრაზილია
13.30 ნორვეგია-ავსტრია

**სპორტული ტანვარჯიში**
9.30-13.00

**ცხენოსნობა**
4.30-10.30

**მძლეოსნობა**
4.00-9.30

**აფროსნობა**
6.00-11.00

**სინქრონული ცურვა**
11.00-13.40

**წყალხტომი**
4.00-8.00 ვაჟები

**სოფტბოლი**
3.30 ნახევარფინალური მატჩი
6.00 ნახევარფინალური მატჩი

**ჩოგბურთი**
5.00-11.00

**მაგიდის ჩოგბურთი**
13.00-16.00

**ძალოსნობა**
8.30-15.00 ვაჟები. 105 კგ

**ბალახის ჰოკეი**
2.30-14.30 ვაჟები, ქალები.

# როზა ბერიკაშვილი: ერთი ოლიმპიური ოქროს მედალი მთელ ჩვენს სპორტულ პოლიტიკას გადასწონის...

არც ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნეთ ვრცელი წერილი ცნობილ ქართველ ტანმოვარჯიშე როზა ბერიკაშვილზე.

ამას წინათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სპორტულ ტანვარჯიშში, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურთან არსებული ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი როზა ბერიკაშვილი კვლავ ეწვია „ლელოს". ამ ხნის განმავლობაში მას ბევრი პრობლემატური საკითხი დაუგროვდა. ყოველივე ამის შესახებ სტუმარი ესაუბრა ჩვენს კორესპონდენტს.

● *ჩვენი ძველი კოლეგა ბრძანდებით — ოციოდე წლის წინათ საქართველოს ტელევიზიაში მუშაობდით სპორტულ კომენტატორად...*

— დიახ, სამი წელიწადი ვიმუშავე იქ, ვიდრე 1983 წელს განათლების სამინისტროს ტანვარჯიშის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის დირექტორად დამნიშნავდნენ. ერთი წელიწადია ჩვენი სპორტსკოლა სპორტსაზოგადოება „შევარდენიდან" მერიის დაქვემდებარებაში გადავიდა. როგორც ხედავთ, უკვე 17 წელიწადია ვმუშაობ სპორტსკოლის დირექტორად.

● *ცხადია, თქვენს ხელში მრავალმა ბავშვმა გაიარა.*

— ადრე ჩვენს სკოლაში 500 — მდე მოსწავლე ვარჯიშობდა მარტო ერთ სახეობაში. შერჩევით ვილებდით მათ. დღეს უკვე შერჩევაზე აღარ გვაქვს ლაპარაკი — ოღონდ მოვიდნენ ჩვენთან. ახლა სპორტსკოლაში სულ 200 — მდე ბავშვი თუ დადის. ათი წლის წინათ ჩვენში დაწყებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და ქვეყანაში გამეფებულმა ქაოსმა, დაძაბულმა მდგომარეობამ გამოიწვია ყოველივე ეს. მშობლებს გაუჭირდათ ბავშვების ტარება სპორტსკოლაში. არადა, მოგეხსენებათ, ერის გენოფონდის გადარჩენისათვის საჭიროა სპორტი.

● *თუ არის მაინც ხელსაყრელი პირობები სრულყოფილი ვარჯიშისათვის?*

— რა დასამალია, ამ პერიოდში ჩვენი სპორტული ბაზები მოძველდა და გაველანდა. მათ კაპიტალურ რემონტზე აღარ ვლაპარაკობ, მიმდინარე რემონტსაც კი ვერ ვატარებთ. ცნობილია, რომ მხატვრული ტანვარჯიშისა და ბატუტზე ხტომის დანერგვისათვის საჭიროა დარბაზს ჭერის სიმაღლე 8 მეტრზე ნაკლები არ ჰქონდეს. ასეთი საქართველოში სულ რამდენიმეა, მაგრამ, ვიმეორებ, გარკვეულ რემონტს მოითხოვს.

● *თქვენი დირექტორობის პერიოდში ბევრი სპორტსმენი დაოსტატდა, ახლაც გყავთ, უნდა ვიფიქროთ, ნიჭიერი შეგირდები?*

— ძველებიდან უპირველესად, ალბათ, მხატვრული ტანმოვარჯიშე ელისო ბედოშვილი უნდა დავასახელო — მსოფლიოს ჩემპიონი ჯგუფურ ვარჯიშში, მისი მეგობრები — საქართველოს ჩემპიონები და ნაკრების წევრები ქენია შირინკინა, ბელა ქილიაევა, ვერა ყიფიანი, თამილა ტლაშაძე, თამრიკო ქოიავა და ვერა სერგეევა. დღეს კი არანაკლები კლასის ოსტატები გვეზრდება: მხატვრული ტანმოვარჯიშე 15 წლის ანა ალექსიშვილი და 11 წლის ნინო ქერქაძე — საქართველოს ნაკრების წევრი. ამას წინათ, თურქეთის ქალაქ იზმირში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ა. ალექსიშვილმა მესამე ადგილი მოიპოვა. მათ ავარჯიშებენ მწვრთნელები ვალერი ჩხაბერიძე და ვალენტინა კლიმოვა. არ შეიძლება არ აღინიშნოს აქ 8 წლის აკრობატი გიორგი ექიზაშვილიც.

როგორც იცით, ახლახან ჩვენი სკოლის ბატუტისტთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა კრასნოდარის საერთაშორისო სპორტულ თამაშებში: 10 წლის თბილისელმა ლიუბოვ გოლოვინამ ოქროს მედალი მოიპოვა 15-16 წლის ასაკის გოგონათა შორის, ხოლო ჩვენმა გოგონათა გუნდმა საპატიო მესამე ადგილი მოიგო. 14 წლის ოლეგ კოლესოვ — გოგოლაძე მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა სინქრონულ ხტომებში, მესამე შედეგი ჰქონდათ ვერიკო ბეგლარიშვილისა და ელა აირაპეტოვას წყვილს. სპეციალისტები აღნიშნავდნენ ქართველ ბატუტისტთა სკოლის მაღალ დონეს.

● *ვიცით, რომ თქვენ დღეს მხოლოდ საკუთარ ენთუზიაზმზე ხართ მინდობილი, პრაქტიკულად დახმარებას ვერავინ გიწევთ, გარდა ჩვენი მერიის...*

— თითო სპორტულ ორგანიზაციასა და სპორტსკოლაში ორი-სამი ენთუზიასტი მაინც რომ არ იყოს, ქართული სპორტი, ალბათ, დაიღუპებოდა. არადა, ყველა ქვეყანაში სპორტს უდიდესი ყურადღება ექცევა, რადგანაც კარგად იციან, რომ სპორტი ერის სიმძლავრეა, მისი სახე. ეგებ საქართველოშიც ბავშვთა სპორტის „ფეხზე დადგომით" დავიწყოთ ეს საშური საქმე. ხომ იცით, დედამიწის ზურგზე სახელმწიფო ჰიმნს მხოლოდ ორ შემთხვევაში უკრავენ — სტუმრად ჩასული პრეზიდენტისა და სპორტსმენის გამარჯვების შემთხვევაში. ძალიან გამიხარდა, როდესაც შევიტყვე თავის დროზე რომ ჩვენს პარლამენტში 15 თუ 17 ყოფილი სპორტსმენი აირჩიეს — ისინი ხომ სწორედ სპორტით მოვიდნენ სხვადასხვა თანამდებობაზე. ვიფიქრე, ახლა კი გვეშველება-მეთქი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ რომელი პარტიის წევრი იყო — სპორტსმენი ხომ სულით და გულით ბოლომდე სპორტსმენად რჩება. დარწმუნებული ვიყავი, რომ მათი ინიციატივით რაღაც შეიცვლებოდა, თუმცა კი, არსებობს ჩვენში სპორტის კანონი, მაგრამ მასში ბევრი რამ გადასასინჯია სპორტის საკეთილდღეოდ. იქნებ ბოლოს და ბოლოს მივხედოთ ჩვენს გაჭირვებულ მწვრთნელ-მასწავლებლებს და შესაბამისი დახმარება გავუწიოთ მათ. ვინმე, ალბათ, იტყვის, რა ახალ კანონზეა ლაპარაკი, როდესაც ძველიც არ სრულდება და საერთოდ, რა ლაპარაკია სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე, როდესაც ადამიანის უფლებებიც არ არის დაცული ჩვენში.

● *თქვენ თუ ღებულობთ დაგვიანების გარეშე კუთვნილ ხელფასს?*

— მადლობა ღმერთს, დღეს უკვე შედარებით სტაბილური ხელფასი გვაქვს, ისიც ქალაქის მერიის შემწეობით. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ უცხოეთში სამუშაოდ წასული ჩვენი საუკეთესო მწვრთნელები, რომელთა რიცხვი მარტო ტანვარჯიშულ სახეობებში 100-მდე აღწევს, გაცილებით უფრო დიდ ხელფასს იღებენ და ცხოვრების პირობებიც საუკეთესო აქვთ.

● *საბჭოთა პერიოდს ხომ არ მისტირით?*

— სულაც არა, მაგრამ ერთი რამ ფაქტად რჩება — ადრე ბევრად უფრო ნორმალურ ვითარებაში გვიხდებოდა მუშაობა. იყო სრულწლიური ვარჯიში, წელიწადში 6 — 7 საწვრთნელ შეკრებას ვატარებდით დიდი შეჯიბრებების წინ ჩვენს საუკეთესო კურორტებსა თუ ქვეყნის სხვა ქალაქებში გასვლით. ეგ იყო, რომ მაშინ ძალზე


როზა ბერიკაშვილი

ძნელი გახლდათ საკავშირო ნაკრებში მოხვედრა, ათი თავით მაღლა უნდა ყოფილიყავი შენს რუს მეტოქეზე, რომ ოლიმპიადაზე, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატზე გამოსულიყავი საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში. მაგრამ, მოდით ვაღიაროთ, ის სისტემა ბევრად უფრო აწყობილი იყო, ყველამ იცოდა თავისი საქმე და მოვალეობა. მართალია, დღეს სპორტსმენებს ჩვენი ქვეყნის სახელითა და დროშით შეუძლიათ გამოსვლა ნებისმიერ შეჯიბრებაში, მაგრამ ჯეროვნად რომ მოვამზადოთ სპორტსმენი, ამის შესაძლებლობა არა გვაქვს. და საერთოდ, ხშირად გვიჭირს ხოლმე ცალკეული სპორტსმენებისა და გუნდების გაგზავნა ასპარეზობებზე ჩვენი ქვეყნის გარეთ.

● *კორუფცია შეიჭრა დღეს ქართულ სპორტში, ეს კი საგრძნობლად ამუხრუჭებს მის განვითარებასა და წინსვლას.*

— ასეა, სამწუხაროდ, და მოდით თვალს ნუ დავხუჭავთ სინამდვილეზე. შეხედეთ ჩვენს ფეხბურთს, რას დაემსგავსა. მაფიამ და კორუფციამ მოიცვა იგი. გაჩნდა ძნელად ასატანი უგულობა, უხასიათობა, აღარ იგრძნობა არავითარი პატრიოტიზმი, სიყვარული და შემართება.

● *დღეს სპორტის განვითარებისათვის დიდი თანხებია საჭირო...*

— გეთანხმებით, მაგრამ მასში ჩადებული თანხა დაკარგულად არ უნდა მივიჩნიოთ, ცხადია, თუ იგი სრულად მოხმარდება სპორტს. ოქროს ოლიმპიური მედალი, ჩემი აზრით, მთელ ჩვენს სპორტულ პოლიტიკას გადაწონის. ქართველ კაცს უყვარს სპორტი, დიდ პატივს სცემს სპორტსმენებს.

● *სავალალოა, მაგრამ ყველა როდი ფიქრობს ასე...*

— ვიცი, რომ პარლამენტისა და მთავრობის ზოგიერთი წევრი თვლის, რომ არ არის საჭირო ქართველი სპორტსმენების გაგზავნა ოლიმპიადებზე — ეს დაკარგული ფულიაო! მე გულწრფელად მეცოდებიან ასეთი ადამიანები. ალბათ, მათ მართლაც არ უყვართ სამშობლო, არ უფრთხილდებიან ჩვენი სპორტული საქართველოს სახელს. დიდი სპორტის თავი და თავი, მოგეხსენებათ, ბავშვთა სპორტია. ცხადია, ყველას არ ძალუძს ოლიმპიური ჩემპიონობა, მაგრამ ყველა უნდა იყოს ჯანსაღი სხეულითა და სულით, ყველას უნდა შეეძლოს სამშობლოს დაცვა. ამიტომ, მოდით, უფრო გულდასმით მივხედოთ ბავშვთა სპორტს და საერთოდ, სპორტს. დღეს რომ ასე მომრავლებულია ნარკომანია და პროსტიტუცია, რომ გადაგვარდა ჩვენი ახალგაზრდობა, განა ეს ისევ ჩვენივე ბრალი არ არის?! არც ერთი მოზარდი არ უნდა დარჩეს გამაჯანსაღებელი სპორტის გარეშე. მაშინ მას აღარ ეცლება ქუჩისათვის, ნარკოტიკებისათვის, სულ სხვა ჯანსაღი ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდება. მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა გადაიხედოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების ტიპური დებულება, რის მიხედვითაც აგებულია მთელი ჩვენი მუშაობა. სავალალოა, რომ არსებულ დებულებას არა აქვს ფინანსთა მინისტრის ხელმოწერა, თუმცა ამ პოსტზე დანიშნულნი ისე ხშირად იცვლებიან, რომ ალბათ „ვერ ასწრებენ" მასზე ხელმოწერას. ამ „ფაქსიმილეს" გარეშე კი დებულება არ არის კანონი. ახლავე თუ არ ვიზრუნეთ ბავშვთა სპორტზე, მოზარდთა სპორტზე, ალბათ, 2004 წლის ოლიმპიადისათვის გაგვიძნელდება გუნდების დაკომპლექტება. მოგეხსენებათ, ოლიმპიურ თამაშებში დღეს მეტწილად მონაწილეობენ სპორტსმენები 20 წლის ასაკამდე. აქვე იმასაც დავძენ გულისტკივილით, რომ, სამწუხაროდ, თბილისის სკოლებში ნაკლებად ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილები, აი რაიონებში კი, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

● *დასასრულ...*

— მეც მინდა სხვებთან ერთად ჩვენი კოლექტივის სახელით მივულოცო გიორგი ვაზაგაშვილს ოლიმპიური „ბრინჯაო", დანარჩენ ქართველ ოლიმპიელებს კი შორეული ავსტრალიიდან სამშობლოში ოქროს მედლების ჩამოტანა ვუსურვო. მოსავლიანი შემოდგომა ჰქონოდეთ მათ სიდნეის დიდ სპორტულ სარბიელზე.

**ოთარ ნოზაძე**

# მარატ საფინი მსოფლიოში პირველობისაკენ ისწრაფვის

ჩოგბურთის მიმომხილველები დიდ ყურადღებას უთმობენ მარატ საფინის ტრიუმფს აშშ-ს ღია პირველობაზე ანუ ფლეშინგ მიდოუზე. მას ყველა, ახალგაზრდა პიტ სამპრასს ადარებს, რომელმაც 19 წლისამ გაიმარჯვა ამ ჩემპიონატში. აქამდე 20 წლის რუსი სპორტსმენის ყველაზე დიდ წარმატებად ითვლებოდა გასვლა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში. „მოვესწარით ახალი ჩემპიონის დაბადებას“ – წერს გაზეთი „U.S. Todey“: „მარატი თავისი მიწოდებით 200 კმ/საათში ძალიან გვაგონებს 19 წლის სამპრასს“.

● ***შარშან თქვენ ასე კარგად არ თამაშობდით. რა მოხდა?***

– წელიწადი მომემატა, ერთი სიტყვით, გავიზარდე და გამოცდილება მივიღე. ვფიქრობ, სწორედ იგი დამეხმარა სხვადასხვა სიტუაციაში გამოსავალი მენახა.

● ***ამჯერად მხოლოდ ერთი ჩოგანი გატეხეთ. ეს ხომ ახალი, უფრო დალვინებული მარატია. თუ გადაწყვიტეთ ჩოგნების დანდობა, გეცოდებათ.***

– იცით, ამის გამო რამდენი ჯარიმა გადავიხადე?

● ***მაინც, რამდენი?***

– 7 ან 10 ათასი დოლარიც კი.

● ***შარშან 48 ჩოგანი გატეხეთ. ამ სეზონში?***

– 35 ან 36.

● ***ბოლოს როდის მოხდა ეს?***

– პირველ წრეში გუარდიოლასთან.

● ***დედათქვენი 7 წლიდან წვრთნიდა ელენა დემენტიევას, რომელიც ახლა ნახევარფინალამდე მივიდა.***

– ვფიქრობ, იგი მას 4 წელი ავარჯიშებდა, ტექნიკა დაუხვეწა, საფუძველი ჩაუყარა. ამის შემდეგ ელენამ მწვრთნელი შეიცვალა, რაც ბუნებრივი იყო, რადგან უნდა ემოგზაურა, ტურნირებში მიელო მონაწილეობა. დედაჩემს კი მოგზაურობის საშუალება არა ჰქონდა, რადგან ჩემს უმცროს დას დინარას წვრთნიდა. დედაჩემს იმას ვუმადლი, რომ ესპანეთში გამაგზავნა, სადაც ვისწავლე ჩოგბურთის თამაში. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ჩემგან კარგი სპორტსმენი არ გამოვიდოდა.



*მარატ საფინი*

● ***ჰარდზე თამაში უფრო გამოგდით, ვიდრე მიწის საფარზე?***

– ორი წლის წინათ ამბობდნენ, რომ მიწის საფარზე ყველაზე მეტად გამომდიოდა თამაში. ახლა სრულიად სხვა რამეს ამტკიცებენ, ისე, ჰარდზე თამაში შემეფერება. ეს ყველაფერი კი, ჩემი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ საფარზე შემიძლია წარმატებით გამოსვლა.

ორი თვის წინათ მარატ საფინი აცხადებდა, რომ უახლოეს წლებში გაუჭირდებოდა მსოფლიოს უძლიერეს ოსტატებს გამკლავებოდა. ახლა აშშ-ს ღია ჩემპიონატში დიდი მიღწევის შემდეგ საფინი უკვე ფიქრობს, რომ შეუძლია მსოფლიოში №1 ჩოგბურთელი გახდეს.

## ხულიგანი მამა...

როგორც ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, 17 წლის ნიჭიერი, ავსტრალიელი მოთამაშის ელენა დოკიჩის მამას დამირ დოკიჩს მომავალი წლის 31 მარტამდე არ დაუშვებენ შეჯიბრებებზე.

ამის მიზეზია დამირ დოკიჩის სამარცხვინო საქციელი ჩოგბურთის შეჯიბრებების დროს. იგი სალანძღავი სიტყვებით მიმართავს მოთამაშეებსა და ორგანიზატორებს, წესრიგის დამცველებისა და ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური ძალაც კი გამოიყენა. 30 აგვისტოს იგი ისე გააფრთდა, რომ ამიერიდან აღარ შეუშვებენ არა მარტო სპორტსმენების გასახდელში, არამედ, ტრიბუნებზეც კი.

ხულიგანი მამის დისკვალიფიკაცია ძალაში 2 ოქტომბრიდან შედის.

## ოლიმპიური იუმორი

ვახტანგ ქუციას ნახატები







## სოსო გოგნაძის ხსოვნას მიეძღვნა

ამ დღეებში ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში, ღია ტატამზე, გაიმართა ცნობილი მოჭიდავის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საბჭოთა კავშირისა და მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულის სოსო გოგნაძის ხსოვნის ტურნირი, რომელიც მიეძღვნა მისი დაბადების 50 წლისთავს.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა რაიონის გამგებლის მოადგილის ვალერი გოგნაძის ხელმძღვანელობით ტატამის მახლობლად გამოფინეს სოსო გოგნაძის შეჯიბრებებზე გადაღებული სურათები, სიგელები, დიპლომები და უამრავი ჯილდოები.

შეჯიბრება ჩატარდა ძიუდოში. ხარაგაულის გარდა მასში მონაწილეობდნენ სხვა რაიონების გუნდებიც. მოჭიდავეები ორ წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ. უმცროს ასაკში გაიმარჯვეს ბორითელმა ლაშა ბარბაქაძემ, ხაშურელებმა ომარ ლომიძემ, ზურაბ პერიძემ და ნანა კაპანაძემ, ზვარელმა გურამ და ზურაბ გოგნაძეებმა და თემურ ცხადაძემ, ხარაგაულელმა ალექსანდრე შავიძემ და ვახტანგ ჭანკვეტაძემ.

უფროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის გაიმარჯვეს ზვარელმა თემურ ტალახაძემ, მიხეილ ჩაჩანიძემ, ალექსი კურტანიძემ და სერგო ჟამერაშვილმა, ხეველმა კახაბერ გრიგალაშვილმა და ხარაგაულელმა გიორგი შავიძემ.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვება წილად ხვდა ხარაგაულელ ზვიად კურტანიძეს. სოსო გოგნაძის პრიზი მიენიჭა ხაშურელ ომარ ლომიძეს.

შეჯიბრებას მთელი სოფელი დაესწრო. იყვნენ სტუმრები ზესტაფონიდან, ხაშურიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან.

ბოლოს შეჯიბრების ორგანიზატორებმა გამარჯვებულ ფალავნებს გადასცეს სამახსოვრო პრიზები და დიპლომები.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ანზორ მაღრაძე. შეჯიბრების ყველა მონაწილე ესტუმრა სოსო გოგნაძის საფლავს და ყვავილებით შეამკო იგი.

***ჰენრი შარიქაძე,***
***„ლელოს“ კორ. ხარაგაული.***

## ანანდის უკანასკნელი რეპეტიცია

მსოფლიო თასის მფლობელი, მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგში მესამე ადგილზე (კასპაროვისა და კრამნიკის შემდეგ) მყოფი ინდიელი ვიშვანათან ანანდი ამ დღეებში რამდენიმე ხნით ეწვევა სიდნეის, სადაც ოლიმპიადის დღეებში საჩვენებელ მატჩში შეხვდება ალექსეი შიროვს (ესპანეთი). ანანდმა, რომელმაც მსოფლიო თასთან ერთად 50 ათასი ჰონორარიც მიიღო, განაცხადა:

– შიროვთან შეხვედრა ჩემი უკანასკნელი რეპეტიცია იქნება ნიუ-დელიში ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის წინ. ინდოეთში თამაშს დადებითი მხარეებიც აქვს და უარყოფითიც. შინ როცა თამაშობ, დამატებით ზეწოლას განიცდი, მაგრამ არის მეორე მხარეც – გულშემატკივრების მეტად თბილი დამოკიდებულება.

## «მხოლოდ» საერთაშორისო ოსტატია

თითქმის სრულიად უცნობი ჩინელი მოჭადრაკე სიუი იუჰუა, ქ. შენიანში მოულოდნელად მსოფლიო თასს დაეუფლა (მას 30 ათასი დოლარიც დაემატა), აქამდე „მხოლოდ“ საერთაშორისო ოსტატის წოდებას ატარებდა.

ახლა მას არა მარტო ავტომატურად მიენიჭება საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, არამედ პერსონალურადაცაა მიწვეული მსოფლიო ჩემპიონატში (ფიდეს ვერსიით) ქალთა შორის, სადაც მოხვედრის არავითარი შესაძლებლობა ამ ბოლო მიღწევამდე, სიუი იუჰუას არა ჰქონია.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**22 სექტემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი“ (18.00). „ვარსკვლავები“ (21.00). ***НТВ плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (19.45), ევროპის ფეხბურთი (21.30), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (22.20), გერმანიის ჩემპიონატი (23.10), ***НТВ плюс спорт.*** სიდნეი-2000 (8.30-21.30). ***ESPN.*** აშშ-ს საფეხბურთო ლიგა (3.00), ინგლისის პრემიერლიგა (12.00, 1.00), ფეხბურთი. უეფა-2000/2001. „ჰამბურგი“ – „დეპორტივო“ (18.30), „რუსენბორგი“ – „ბაიერნი“ (20.30). ***EUROSPORT.*** (8.30-21.00, 2.30, 4.45, 5.45)

**23 სექტემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), ***მე-9ა.*** ევროპის სტადიონებზე (20.10), ***РТР.*** „ფორმულა-1“. მსოფლიო ჩემპიონატი (2.15), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (18.25), ინგლისის ჩემპიონატი (20.20), ესპანეთის ჩემპიონატი (23.55), რუსეთის 25-ე ტურის მიმოხილვა (1.50), ***НТВ плюс спорт.*** სიდნეი-2000 (12.30 – 23.00), ფეხბურთი. უეფა-2000/2001. „ჰამბურგი“ – „დეპორტივო“ (5.30), „რუსენბორგი“ – „ბაიერნი“ (7.30), პრაღის „სპარტა“ – „ლაციო“ (12.00), ინგლისის პრემიერ-ლიგა: „ჩელსი“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (15.00), ჩემპიონთა ლიგა: პრაღის „სპარტა“ – „ლაციო“ (23.00), ბილიარდი.

**24 სექტემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** მუნდიალი (18.45), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.25). ***НТВ плюс футбол.*** რუსეთის ჩემპიონატის 25-ე ტურის მიმოხილვა (18.45), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (19.00), ინგლისის ჩემპიონატი: „ლესტერი“ – „ევერტონი“ (19.55), საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.50), „ლილი“ – „ლანსი“ (1.05), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (22.30), ესპანეთის ჩემპიონატი (22.55), ***НТВ плюс спорт.*** სიდნეი-2000 (9.15 – 23.00), ***ESPN.*** ფეხბურთი. „ჩელსი“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (5.30 – 23.00), უეფა-2000/2001: „რეინჯერსი“ – „მონაკო“ (13.00), მიმოხილვა (18.30), ინგლისის პრემიერლიგა: „ევერტონი“ – „ლესტერი“ (19.30), აშშ-ს საფეხბურთო ლიგა (4.50). ***EUROSPORT.*** სიდნეი-2000 (6.00 – 21.00, 2.00, 3.30, 5.30).

## კროსვორდი №74




**თარაზულად:** 6; სახელოვანი ქართველი მოჭადრაკე ქალი, 8. საჭადრაკო ფიგურა, 9. 80-იანი წლების ვეტერანი თბილისის დინამოელი ფეხბურთელი, მცველი, 10. ვეტერანი ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 12. სპეციალური სადგომი იარაღის მიზანში სროლისათვის, 13. სპორტული შეჯიბრება, რომელშიც ყველა მონაწილე ერთმანეთს თითოჯერ ხვდება, 14. აფრა, 17. ფიფას წევრი ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, 18. ფეხბურთელი, მცველი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 19. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 20. სახელგანთქმული ამერიკელი ვეტერანი მოკრივე, 21. შვედეთის საფეხბურთო კლუბი, 24. წარსულში ცნობილი ქართველი მესტენდური, 27. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, მცველი.

**შვეულად:** 1. 80-იანი წლების ვეტერანი კიეველი ფეხბურთელი, 2. ინდოელი მოჭადრაკე ვაჟი, 3. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 4. თბილისის ბავშვთა საფეხბურთო კლუბი, 5. ვეტერანი ქართველი მოჭიდავე, ამჟამად სპორტული ფუნქციონერი, 7. მოკრივეთა სარბიელი, 8. სახელგანთქმული ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 11. 50-იანი წლების ვეტერანი მოსკოველი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 14. 60-იანი წლების ვეტერანი დინამოელი ფეხბურთელი, 15. ახლო წარსულში თბილისის საფეხბურთო კლუბი, 16. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 17. თბილისის საფეხბურთო კლუბი, 22. ხელბურთელ კალანდაძის სახელი, 23. ცნობილი ნორვეგიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 25. ვეტერანი ფრანგი ჩოგბურთელი ვაჟი, 26. ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 28. იაპონიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

### კროსვორდი №73-ის პასუხები:

**თარაზულად:** 7. საპორო, 9. „დრონი“, 10. „თბილისი“, 11. ლამბადა, 12 გეიმი, 15. გოგლიძე, 16. ლიტვა, 18. იაძე, 19. სიო, 22. ეი, 23. გულიაშვილი, 24. იალტა, 26. „არარატი“, 29. ავსტრალია, 30 ონი, 32. ტრაპატონი, 33. ბადრო. **შვეულად:** 1. სარბიელი, 2. ხარლამოვი, 3. პასი, 4. აორტა, 5. მოდებაძე, 6. არია, 8. „ბორდო“, 13. „მოლდე“, 14. მელელაშვილი, 17. პაი, 19. სმეში, 20. „ივერია“, 21, ალური, 25. ლავსანი, 27. შრატი, 28. ფლანგი, 31. ნარდი, 33. ბრა.

## საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**




**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ეf2!
1. ...მფd3 2. კe6 მფe4 3. კf5X.

მთავარი რედაქტორის მაგიერ ჯემალ ჭიპაშვილი

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.